

მოდის 60

„ხელოფნება“ № 5-6
1999 წ.

მ ი ზ ა ნ თ რ მ ა მ

მოძღვანი პირები

ალცესტი — სელიმენას შეყვარებული
 ფილიონი — ალცესტის მეგობარი
 რონილი — სელიმენას საყვარელი
 სალიმენა — ალცესტის შეყვარებული
 ელიათი — სელიმენას პირაშვილი
 არსიონი — სელიმენას მეგობარი
 პაპაშტი
 კლიტადრი
 გასპი

პირები მოძღვანება

1 სავა — ფილიონი, ალცესტი

ფილიონი — რა ხდება? რა დაგემართა?
 ალცესტი — თავი გამანებე!
 ფილიონი — არა, მაინც რაშია საქმე, რა უცნაურად იქცევი...
 ალცესტი — გულბენები თავი გამანებე-მეთქი, მომწყდი აქედან და თვა-
 ლით ალარ დამენახო!

უცილინობი — ჯერ მომისმინე და შერე გაბრაზდი...

ალცესტი — სიტყვა არ გამაგონო, მაინც არ გისმენ.

ფილინობი — ვერაფერი გამიგია; ასე უცემ რა დაუმართაშე შეკრიპტი მიმაღავს, ჩვენ ხომ შეგობრები ვართ!

ალცესტი — მეგობრებიკო? თუ ძმა ხარ, ეგ უაზრობა თავიდან ამოიგდე ა ქამდე მეც ვერე მეგონა, მაგრამ ისეთი რამაც უცემენი შეგამწინე, რომ გულახილად გეუბნები: დღეიდან მე შენ შეგობარი ველარ ვიქნები.

ფილინობი — მაინც რატომ? ეტყობა, რაღაც საშინელება ჩავიდინე.

ალცესტი — კარგი, კარგი. სირცხვილისაგან მინა უნდა გისცდებოდეს უხეხვეშ, შენ კი დამდგარხარ აქ და შენი ჭეუით, ხუმრობ. ასეთი საქციელი არავის ეპატიება. მეტსაც გეტიფი: ყოველმა პატიოსანმა კაცმა მსგავსი უხამსობის დანახებაზე განვაში უნდა ატეხოს. მაინც უერ ხევები რას გასაყველურობ? ახლავე აგიხსნი: ხშირად მინახიხარ როგორ უპირფერები და ელაქტუცები ადამიანს, აქებ, ადიდებ, ერთგულებას ეფიცები. მერე როდესაც შეგევითხები თუ ვინ არის ეს პიროვნება, ჩემდა გასაოცრად და შენდა სამარცხვინოდ, მის სახელსა და გვარს ძლივს იხსენებ. როგორც კი გასცდები იმ ადამიანს, რომელსაც ერთი წუთის წინ მეგობრობას უმტკიცებდი და გადამეტებული ხვევნა-კოცნით თავს აპეზრებდი, მაშინვე ივინწყებ და ისეთი გულგრილი ხდები, ეჭვი მეპარება ხოლმე, თვალმა და ყურმა ხომ არ მომატყუა-მეთქი. პოდა, ალარ მოვერიდები და პირდაპირ ვეტყვის: ასე ულირსი, მხდალი და სულით მახინჯი ადამიანები იქცევიან. მე რომ ასეთი რამ ჩამედინა, რა თქმა უნდა უნებლიერ, ალბათ თავს ჩამოვიხრიობდი.

ფილინობი — თავი ჩამოვხსრჩო? რას ამბობ, ღმერთმა დამიუაროს იქნებ მონყალება მოიღო და ეგ მეცარი განაჩენი ცოტათი მაინც შემიმსუბუქო. ბოლოს და ბოლოს, ისეთი არაფერი ჩამიდენია, რომ საკუთარი სურვილით თავი ბანარში გაყუყარო!

ალცესტი — ვაი, რომ აქ სახუმარო და სასაცილო არაფერია!

ფილინობი — კი, მაგრამ, მაინც რას გვირჩევ, როგორ უნდა მოვიცეთ?

ალცესტი — ახლავე მოგახსენებ: ჩემი ღრმა რწმენით, ადამიანი უნდა იყოს გულწრფელი. პატიოსან ადამიანს ფუჭი ლაპარაკი არ ეკადრება, შისი ყოველი სიტყვა გულიდან უნდა მოღიოდეს.

ფილინობი — აი, თურმე რა ყოფილა! აბა, ახლა მე მომისმინჯ: თუ კაცი კეთილი გულით გეგებება, განა შენც ასევე არ უნდა დახვდე? განა ადამიანს ტკბილ სიტყვაზე ტკბილი სიტყვით არ უნდა უპასუხო? აბა, სხვანაირად როგორ იქნება?

ალცესტი — გეყოფა, კმარა! გესმის რას ამბობ? როგორც ვატყობ, ამ გულისამრევ მანქვა-გრეხვას ღრმად გაუდგამს ფესვები ელიტარულ წრეებში. მაგრამ რა ვქნა, ჩემი სული და გული ასეთ უმსგავსობას ვერასოდეს შეეგუება. აბა, დაფიქრდი: ეს ლაზღანდარა ფუქსავატები დაუფიქრებლად ისვრიან დითირამბებს აქეთ-იქით, საჭიროა თუ არ არის საჭირო, ყოველ შემხედვის ხოტბა-დიდებას ასხამენ, განურჩევლად მისი ღირსება-დამსახურებისა. მითხარი ერთი, განა მათ სიტყვას ფასი აქვს? განა მათ რაიმე დაეჯვერება? მაშ, პატიოსანი და ღირსეული ადამიანები-სათვის რაღა აზრი აქვს ამნაირების სიყვარულის, ერთგულებისა და თავდადების ფიცსა თუ მტკიცს? ისინი მეორე წუთში სხვა ადამიანსაც იგივე სიტყვებით დაუწყებენ გაბრუებას! იცი, რას გეტყვი ჩემო კარგო? ჩვენ, პატიოსან ადამიანებს, სულაც არ გვინდა, რომ ჩვენ და ვიღაც ვიგინდა-

რებს ერთნაირი სიტყვებით მიმართავდნენ და ერთნაირად შვედებისადმი საზოგადოებაში. მაში, როგორლა განარჩიონ ადამიანებმა ლინსეულები უფრო ირსებისაგან? დის, დის, ასეა, ვინც ყველას აფასებს, ის არავალი აფასებს. რადგან შეც ჩვენი დროის ეს საზინელი დაავადება გადავდებია, ჩემს მეგობრად აღარ გამოდგები. სულაც არ მინდა ისე მეტეორდნენ, როგორც ყველას. ყველა ადამიანის მეგობარი ჩემი მეგობარი ვერ იქნება.

ცილინტი — კი, მაგრამ, ჩვენ ხომ ადამიანთა საზოგადოების წევრები ვართ. ამ საზოგადოებაში კი არსებობს გარევეული კანონები და წესები, რომელიც მისი თითოეული წევრის მიმართ უნდა იყოს გამოყენებული.

ალცესტი — არა და არა! კიდევ გიმეორებს: ყალბი მეგობრული გრძნობებით ვაჭრობა შეუბრალებლად უნდა ისჯებოდეს, კაცი კაცურად უნდა იქცეოდეს, ყაველ ადამიანს იმას უნდა ეუბნებოდეს, რასაც გული უკანახებს. უაზრო კომპლიმენტებით ნამდვილი გრძნობების შენილვა, რბილად რომ ვთქვათ, სამარცხვინოა.

ცილინტი — შენ, ასე ფიქრობ, არა? მე კი მგრნია, რომ არსებობს გარევეული სიტუაციები, სადაც სრული გულნრფელობა სასაცილო და, მეტსაც გეტყვი, უადგილო იქნებოდა. ზოგიერთ შემთხვევაში კი, მიუხედავად შენი ყბადალებული პატიოსნებისა, უმჯობესი იქნებოდა თუ ადამიანი თავის გულისნადებს არავის გაუმშელდა. შენ რომ გისმინოს კაცმა, თუ ვინმე გვეჯავრება ან უბრალოდ, თვალში არ მოგვდის, სიმართლე პირში უნდა მივახალოთ, არა?

ალცესტი — დის, სწორედაც რომ ასეა.

ცილინტი — რა ადვილად ლაპარაკობ! მაში, შენ ნახვალ და ეტყვი ბებრე ემილიას, რომ მის ასაკში ლამაზმანობის თამაში უკვე უხამსობაა? ჴა, ეტყვი? არც იმას დაუმარავ, რო გარშემო მყოფებს გულს უხეთქავს მისი ფერ-უმარილით მოთხუპნული დაღარული სახე? მითხარი, ეტყვი?

ალცესტი — ერთი წუთითაც არ დავიქიქდები.

ცილინტი — აი, მესმის გამბედაობა! ე. ი. არც დორილას მოერიდები და ეტყვი, რომ ის მომაბეზრებელი ადამიანია და ყველას ყურები გამოუქედა თავის ვაჟაფობასა და ოჯახიშეიღილობაზე უაზრო ბაქი-ბუქით?

ალცესტი — რა თქმა უნდა, ვეტყვი.

ცილინტი — შენ, ალბათ, ხუმრობ, ან მე დამცირო.

ალცესტი — რა მეხუმრება! ისე ვარ გაცეცხლებული, თუ ვინმეს ასე-თი ორპირობა შევამჩინი, არავითარ შემთხვევაში არ დავინდობ. უკვე თვალები მეტყინა ამდენი საზიზღრობის ყურებით. საითაც გინდა გაიხედ-გამოიხედო, ეს ქლესა ადამიანები მოგვედებიან თვალში; სადაც გინდა მიხვიდე, ყველაგან უსამართლობას, ლალატს და გაიძვერობას ნაანყდები. როგორ უნდა იცხოვოროს პატიოსანმა ადამიანმა ასეთ საზოგადოებაში? სანუგეშოს ვერაფერს ვხედავ. ამიტომაც გადავწყვიტე ყველანაირი ურთიერთობა გავწყვიტო ადამის მოდგმასთან. სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ არსებობს.

ცილინტი — რაღა დაგიმალო და, შენი ფილოსოფიური ნალველი, ცოტა არ იყოს, გადამეტებული მგონია. როდესაც ასეთ შეაბნელ ფიქრებ-ში ჩაფლულს გიყურებ, არ გენყინოს და მეცინება. ადამიანების ის თვისებები, რაც შენში ტირილს ინვევს, ჩემთვის მხოლოდ სიცილისა და გართობის მიზეზია. მაგრამ არა უშავს, სიცილი და ტირილი ხომ განუყრელი ძმები არიან.

ალცესტი — თუ ღმერთი გნამის, შეეშევი ამ იაფლასიან შედარებებს.

ფილინტი — მე კი შევეშები, მაგრამ შენთვის უკეთესი იქნება, თუ ამ სისულელებს თავიდან ამოიგდებ. რამდენიც არ უნდა ეცადო, ამ ცეკვის ყანას მაინც ვერ გაასწორებ. რახან გულაბზღიულობას ასე აფასებ, მეც გულაბზღიულ გეტყვის: შენ სამართლიანობის „დაავადებით“ ხარ შეპრობილი და სადაც არ უნდა ნახვიდე, შენი „დაავადება“ მხოლოდ და მხოლოდ სიცილს გამოიწვევს. რისხვა, რომელსაც თაქ ატეს ატეს ადამიანებს, მასხარად გხდის ხალხის თვალში და მეტი არაფერი.

ალცესტი — ძალიანაც კარგი! მით უკეთესი ჩემთვისა! ამაზე მეტს ვერც ვინატრებდი! ნუთუ ვერ ხვდები ჩემი სიხარულის შიზეზს? ახლავე აგისხნი: ადამიანები იმდენად მეზიზღებიან, რომ ძალიანაც მეწყინებოდა თუ ისინი ჭკვიანად ჩამოვლიდნენ.

ფილინტი — როგორც შენი ლაპარაკიდან შევიტყვუ, ადამიანები კარგს არაფერს არ უნდა მოელოდნენ შენგან.

ალცესტი — სწორად გაგიგია ჩემი სიტყვები — ადამიანების მიმართ მხოლოდ და მხოლოდ სიძულვილის გრძნობა მაქვს, თანაც, უდიდესი და უკიდეგანო სიძულვილის!

ფილინტი — და ეს შენი უდიდესი და უკიდეგანო სიძულვილი ცველა ადამიანს ერთნაირად ეხება? ნუთუ ამ საბრალო მოკვდავებში ერთი ბედნიერი გამონაკლისი მაინც არ არსებობს? თანაც, ამ ჩვენს საუკუნეს თავისი უბედურებები არ ეყოფოდა, რომ ეს შენი სიძულვილიც ზედ არ დაგემატებინა?

ალცესტი — არა, ჩემი სიძულვილიდან გამონაკლისი არ არსებობს. ის საყოველთაოა და ცველა ადამიანს ერთნაირად ეხება. გიკვირს არა? არა, ჩემო კარგო, აქ არაფერია გასაკვირი და ახლავე აგისხნი რატომ: ერთნი ჩემის აღმფოთებას ინვევენ იმით, რომ გაიძვერები და უკეთურები არიან; დიახ, დიახ, გაიძვერები და მეტსაც გეტყვი — ბოროტმოქმედები! მეორენი კი, ვითომც აქ არაფერიაო, ისე იტანენ მათ ვერაგულ საქციელს, თვალს ხუჭავენ მათ ავკაცობაზე. განა ეს პატიოსანი ადამიანის საკადრისია? მაში, რითილა სჯობიან ისინი იმ ავაზაკებს? არაფრით! სჯობიან კი არა და, მათზე უარესები არიან. თუ ბოროტს ბოროტებას არ დაუშლი და მის ავ განზრახვას ნინ არ გადაუდგები, შენ იმაზე უარესი ბოროტმოქმედი ხარ, არა, არა, მე ამას ვერასოდეს შევეგუები! რატომ არ გინდა გაიგო ჩემი აღმფოთების მიზეზი? აბა, ნარმოიდგინე: ფარისეველ ადამიანს, შიგებედავად მისი კარგად მორგებული ნილბისა, ცველა კარგად სცნობს. ცველას თავის თავზე აქვს გამოცდილი მისი ორპირობა და მუხანათობა, პირში კი ვერავინ ვერაფერს უბედავს. ეს გაიძვერაც გალალებულია, პირანჭება, იგრიხება, ცველას თავისი გაქნილი ენიო უქონავს თავს, ერთთან ერთს ამბობს, მეორესთან მეორეს, მე შენ გეტყვი და სიტყვაზე დაიჭერ! როგორც კი დასჭირდება, ისე ოსტატურად შეატრიალებს ადრე ნათევამს, რომ თავბედს განკუვლინებს და საუთარ პატიოსნებაში ეჭვს შეგატანინებს. აი, სწორედ ასეთების ბრალია, რომ ამ ქვეყნად ცველგან ბოროტებაა გამარჯვებული; ასე საცოდავო, უენო პატიოსნება კი სადღაც კუთხეში მიკუნჭულა და შიშისაგან ცახცახებს! ბრმა უნდა იყო ადამიანი, დიახ, დიახ, ბრმა და თუ გინდა ყრუც, ეს რომ აიტანო! მე კი ისეთ სასონარკუვეთილებაში ვარ ჩაეგარდილი, რომ ღამის არის ცველაფერი მივატოვო და საღმე უკაცრიელ კუნძულს შევაფარო თავი!

ՑՈՂՈՆՑՈՒ — Հմերտող հիմու! Ես Հա գլուխ պողովներու Հա Անդամության
ասե զուտաճշող հայոն դրուս Խնեհայուղեցիս ցամո? Գանձ առ Շեղմանքը
պողատա մանց Շեցունցնարու Ես Տապուացու ագամոնցի՞ Ոյեց Շեցունցնարու
նայլեցու Տօմիկաբրու ցայի հերու մատու օլեցաց պողալու Տասուատու պողուղու
կուտեհ-պահապահուլու! Խուտու ագամու մողաց մանց Կարցու աղարհուն դարհի՞ Խուտու
պահա ագամոնցու ծոնցուրու ցերատացանու սրի հելու Տիասանլեպահուլու? Գա-
րդասաւլ դրուա Խնեղուրու նորմեցու հայուն գրութիւն աղարհ ցամոցագուցեա.
Հա ուսիամ, ամյացնագ պահապահու ուպալու դա ագամոնցու օմուլեպահուլու
տացու դրուս մոյերցու. Եռլու ու Շեն ամ պահապահու Շեպալու մոնոնգութիւն,
ցուաց ցամոցապահագուցեա դա Խուրց Շեցացուցեա. Ագ մարտալու օյեցինու
Շեն Հա ցանուա, մարտու Շեն ամինց ամ մանցուրեցի՞ Այ, տշոնց պահ, ուրու,
Համարեն սմիցացանուա զանցացի գլուխու մագրամ Հա զենա? Եպաց դա պա-
տիես յերտու զան-պահապահուլու? Միրու դա ցայլեց ամուտ Տայմիս? Արապարու
ար ցայլեցի՞ Ամուտու ագամոնցու ցուլու օլեցաց, րոցուրու օլու արուա.
Հա զենա, օմուլեպահու զար հիմու Տասուատու մատ Տասուատու մոցուսագուց.
Օս էու, Հոմ ուրուց, ամ հիմու Շեմինցնարցալունասա դա Շեմինցնարցալունասա ցարպահապահուլու
պահուուուրու Տարիւլու պահու, օլեցու րոցուրու Շենս Տավ մըլանյու-
նուա.

ԱԾՈՎԵՍՏՈՒ — Բա՛՛, րոցուրու Շենս նալապարայեցութան ցազոց, ամ Շենս
Շեմրուցածու դա Շեմինցնարցալուն Տասուատու արանանորու Տայուրտես ար ցիսչ-
րեա, արա? Բա՛՛, Շեն ցերապոն դա ցերապուրու դացուրուցու Տայուրու Խոնաս-
նորունաս, արա? Ածա, յերտու Կարցու դա ամուցու պահու: Այ, առուցատ, սածլուցմա
մեցունամա ցուլալապա, Հալապ ցեմիայունու Շենս յունեցա Տիացդու Ելութիւ ան
յուցա Տանունարու ժորու դացուպարա յալապահու արու մամոն ցաքրանցացի՞?
Խուտու մըցուրու լալապիսաւ ասեց մըցուդաց ցանչյու?

ՑՈՂՈՆՑՈՒ — Արա, Շեն ցեր ցամոց Հա զամոն. Ցե Շենչի նայլեաց
րուգու ցերագու ագամոնտա օմ մանցուրեցի՞, Համաւ Շեն Տալու ացալուն. Միւց
Շեյւրապէսունու զար, րուցեսաւ մակուպարա, պայուր դա անցարցինու ագամո-
նցի՞ ցերագու. Հոտու Տայունուն օլունու լութիւնմէլ պորնեցիս, ռոննամ մա-
մունցի՞ ան ցապուցածու մըցուցի՞ Տայունուն կո արա դա մը մըցուն սարյու-
նուց արուա.

ԱԾՈՎԵՍՏՈՒ — Հոմ նարմոցութց, րոցուր Շեպալունատ ագամոնցու մո-
լալապին, մոմակուպուն, նանուն-նանուն դամցույուն, հիմու յունեցա մուտուու-
սուն... դա մեր Հուտուու? Արա, Արա, օմունու Տամոնցու նարմութիւն տապա-
նուն, Հոմ ցապույրեցաւ կո Շի՛շուն նարս մըցմիս.

ՑՈՂՈՆՑՈՒ — Հա դացեմարտա, դամնարդու! Ածա, Հա Տայուրու Շի՛շունար
ներցուու աշլա! ու ասետո սկանցու դացակուցուն, հիմու յունեցա մուտուու-
սուն դա մեր Հուտուու? Արա, Արա, օմունու Տամոնցու նարմութիւն տապա-
նուն.

ԱԾՈՎԵՍՏՈՒ — Տասամարտլու ցուի ուլու? Արացուար Շեմտեհցամու?

ՑՈՂՈՆՑՈՒ — Բա՛՛, զոն սնաց օմունու Շի՛շուն մացուրագ?

ԱԾՈՎԵՍՏՈՒ — զոն դա, ցունուրեցի՞, կը տուլիս նեցամ դա Տամարտլուն-
նունամ. Այ, զոն արուա պահապահու Տամունցու Շեպալունամունցուն.

ՑՈՂՈՆՑՈՒ — Ա. ո. Շեն արու յերտ մուսամարտլու ար մույցուսաց Շենս
Շի՛շունարտլու դասապահագ?

ԱԾՈՎԵՍՏՈՒ — հիմու Տամարտլու մուսամարտլու Հա սնաց? Մաս արու դա-
ւա Տէյուրու դա արու ցամոցուրու.

ՑՈՂՈՆՑՈՒ — Արա, մը Շենս Տամարտլու ցուի ուլու կո ար մը պարցամ մացրամ

შინდოდა მეთქვა, რომ პატიოსანი ადამიანის შეურნაცხყოფა არაგის უნდა შერჩეს.

ალცესტი — ერთხელ ვთქვი და ზავათავე: ერთ ნაბიჯსაც არ გადავდებამ საკუთარი თავის დასაცავად. მტყუანი ვიქნები თუ მართალი, ამას მინშენელობა არა აქვს.

ფილინტი — ნუთუ ასე გვერა, რომ სიმართლე თავის გზას თვითონ იპოვის?

ალცესტი — იპოვის თუ არ იპოვი, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ: მის საძებნელად და დასადგენად თითსაც არ გავარძრევ.

ფილინტი — სიმართლე შენს მხარეზეა, მაგრამ ნუთუ არ იცი ინტრიკებს რა შეუძლია?

ალცესტი — ჩემთვის ამას არავითარი მინშენელობა არა აქვს.

ფილინტი — მაგრამ, ვაი თუ დამარცხდი?

ალცესტი — დამარცხდე რა, მე ხომ ძალიან მინდა გამარჯვებით დატყებე.

ფილინტი — ვერაფერი გამიგია; თუ დამარცხდები, გამარჯვებით როგორლა უნდა დატყებე?

ალცესტი — დამარცხება და საქმის ნაგება უდიდეს სიაშონებას მომანიჭებს. სიაშონება რა, შენი აზრით, გამარჯვება არ არის?

ფილინტი — აი, ახლა კი, სულ დამაბნიერ...

ალცესტი — ღმერთო ჩემო რა არის აქ დასაბნევი და გაუგებარი? მე ეს დავა თვალწათლივ. დამანახებს სადამდე შეიძლება მივიდეს ადამიანთა ბოროტება, ვერაგობა და ზენდაცემულობა. ისინი ხომ ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ქვეყნიერების მტრად გამომიყვანონ!

ფილინტი — აი, თურმე რა აზრები გიტრიალებს თავში!

ალცესტი — მე რომ იმათ ვაჯობო, იმათზე უარესი უნდა ვიყო. ჩემი ნამდვილი გამარჯვება დამარცხება იქნება! ახლა ხომ გაიგე რა მინდა?

ფილინტი — კი გავიგე, მაგრამ ერთ რჩევას მოგცემ და არ გეწყინოს: სხვებთან ასე არ ილაპარაკო, თორმე დაგცინებენ.

ალცესტი — დამცინონ რა, მით უარესი მათვის. ხომ გაგიგონია: „იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის“.

ფილინტი — კეთილი და პატიოსანი. მაგრამ ერთი რამ ვერ გამიგია და იქნებ გამარკვით: შენ, როგორც გატყობ, სიმართლისა და პატიოსნების ძებნაში, მთელ ქვეყნიერებას სამცვდო-სასიცოცხლოდ უპირებ გადაკიდებას. მაგრამ ამ უზნეობის მორევში, რომელშიც თურმე ადამიანები ყველამდე ვართ ჩაფლული, მაინც ყოფილა ერთი ვილაცა, რომლის დანახვაც შენს თვალსა და გულს ძალიანაც სიაშონებს. ხომ ასეა? ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ შენი არჩევანი, ცოტა არ იყოს, მაოცებს. არა, არა, დამაცადე, ახლავე აგიხსნი ჩემი გაოცების მიზეზს. მე, როგორც ყური შოვკარი, ელიანტიას, რომელიც პატიოსნების განსახიერებაა, თურმე თვალი უჭირავს შენზე; ეს კიდევ არაფერი და არც ეს უკარება არსინო ყოფილა შენდამი მაინცდამაინც გულგრილი. შენ კი არც ერთი მოგდის თვალში და არც მეორე. თურმე ნუ იტყვი და ეს ჩვენი კევლუცი სელიმენა ჩაგვარდნია გულში. არა, მე სელიმენას საწინააღმდეგო კი არაფერი მაქვს, მაგრამ ერთ რამეს კი გატყვი: შენ რომ სხვებს უკიინებ, იმ მანკიერებებისაგან, მე მგონი, არც ეგ უნდა იყოს შორს. მაშ, რაღა გამოდის, ერთი და იგივე ცოდვები ზოგს ეპატიება და ზოგს არა? თუ არა და როგორ იტან მაგის, რბილად რომ ვთქვათ, ნაკლოვანებებს? ვერ ამჩნევ, თუ ამჩნევ და პატიობ?

ალცესტი — არა, არა, რას ამბობი იმ ახალგაზრდა ქვერივის სიყვარულს სულაც არ დაუბრიავებივარ ისე, რომ ვერ დაეინახო მისი შაკია ერებანი. რა თავდავიწყბამდეც არ უნდა მიყვარდეს ეს ქალი, მის აფეთქება და კარგს ჩემზე უკეთესად ვერც ვერავინ დაინახავს და ვერც ვერავინ განსჯის. მაგრამ ერთ რამეში კი უნდა გამოგიტყდე: სელიმენამ იცის, როგორ მომარნოს თავი. ძალიანაც კარგად ვხედავ მაგის ქარაღშუტობასა და ვერც რაღაც-რაღაცებს, მაგრამ რა ვენა? როგორც ჩას, ჩემი მისდამი სიყვარული ყველაფერზე მაღლა დგას. ისე კი, იმედი მაქვს, რომ შევძლებ სელიმენას სულის განმენდას და გამოსწორებას.

ფილინტი — თუ შენ ამას შესძლებ, უნდა გითხრა, რომ ეს პატარა გამარჯვება როდი იქნება. მაშ, შენ ფიქრობ, რომ სელიმენასაც უყვარხარ?

ალცესტი — აბა, მაშ, როგორ! იმას რომ არ უუყვარდე, არც მე მეცვარებოდა!

ფილინტი — არა, მე კი მჯერა, მაგრამ თუ სელიმენასაც უყვარხარ და თავის გრძნობას არ მაღავს, ვიღაც-ვიღაცები მეტოქეობას როგორლა გიბედავნ?

ალცესტი — დღეიდან ვეღარ გაბედავნ. ჩემი სიყვარულის საგანი მთლიანად მე უნდა მეუკუთნოდეს. აქ იმისათვის ვარ მოსული, რომ სელიმენას ჩემი ეს სურვილი გაუმშებავნ.

ფილინტი — შენი საქმისა შენ იცი, მაგრამ მე თუ მეითხავ, შენნაირ კაცს ელიანტა უფრო შეეცერება. თან რომ იცოდე, როგორ უყვარხარ და როგორ გაფასება!

ალცესტი — ვიცი, ვიცი, მაგრამ რა გაეწყობა? ხომ იცი, სიყვარული გონებას არ ემორჩილება.

ფილინტი — რა ვიცი, აბა, ისე კი, ძალიან მეუჭვება შენი ამგვარი რწმენა და იმედი. ვაითუ...

სცენა II — ორონტი, ალცესტი, ფილინტი

ორონტი — ქვემოთ მითხრეს, რომ ელიანტა და სელიმენა საყიდლებზე გასულან. მაგრამ, როგორც კი შევიტყვე, რომ თქვენ აქ იყავით, გადაუწყვიტე ამოცსულიყავი და მეტევა, რომ უზომოდ გაისახებთ. უკვე დიდი ხანია, რაც თქვენთან დაახლოება მინდა. ისე კი, უნდა გითხრათ, რომ არც მე გახლავართ ხელსაკრავი ადამიანი. ბედნიერი ვიქნებოდი, თუ ჩემთან მეგობრობას ისურვებდით.

(ამ დროს ალცესტი ოცნებებშია გართული და არც კი უსმის, რომ ორონტი მას მიმართავს).

ალცესტი — მე მეუბნებით?

ორონტი — დიახ, თქვენ გელაპარაკებით. მე მგონი, ცუდი არაფერი მიკალრებია.

ალცესტი — არა, ცუდი არა, მაგრამ გაოცებული ვარ, რას მივაწერო ესოდენ დიდი პატივი, არ ვიცი...

ორონტი — ჩემი სიტყვები ნუ გაგაოცებთ. მეტსაც გეტყვით: ამ ქვეცნად ყველაზე მეტად თქვენ გაფასებთ.

ალცესტი — ცოტა არ იყოს, უხერხულ მდგომარეობაში მაყენებთ...

ორონტი — დედამინის ზურგზე თქვენშე ღირსეული ადამიანი არ ჩე-
გულება.



პალცესტი — ეს უკვე მეტისმეტია...

ორონტი — დიახ, დიახ, რა საჭიროა თავმდაბლობა. მე თუ მეითხავთ,
ადამიანის ყველა საუკეთესო თვისება თქვენშია თავმოყრილი.

პალცესტი — მე მოვნი, აქარბებთ...

ორონტი — ეშმაგმა ნამილის თუ რამე ზედმეტს გულებოდეთი ნუ-
თუ არ გვერათ ჩემი? მოდით, ერთმანეთს ხელი გავუწოდოთ და შეგობ-
ბრობა შევიტოცოთ თანახმა ხართ?

პალცესტი — სიმართლე ჭითხრათ, არ ვიცი...

ორონტი — როგორ, უარს მეუბნებით?

პალცესტი — არა, არა, ნუ ბრაზობთ. აბა, ერთი წუთით ყური დამიგ-
დეთ: თქვენ რომ ასე მაფასებთ და ჩემთან მეგობრობა გსურთ, ძალიანაც
მისიამოვნებას, მაგრამ წუთუ ადამიანები ასე ერთი ხელის დაკვრით მეგობ-
რდებიან? ვისაც ასე თვალის დახამხამებაში შეუძლია ჩახუტება და დაახ-
ლოება, იმან, უბრალოდ, არ იცის რა არის შეგობრობა. კაცი ჯერ უნდა
გაიცნო, მისი ღირსება-ნაკლოვანებები კარგად უნდა ანინ-დანინონ,
იქვე არც შენი დაივიზო და ბი, ამის მერე უნდა დაუმეგობრდე. თუ არა
და, შეიძლება ერთსაც და მეორესაც სანანებლად გაგიზდეთ საქმე. მერე
უკვე გვიან იქნება თითზე კბეჭანი.

ორონტი — ვხედავ, რომ თქვენში არ შევეცდარვარ. მართლაც, ისე
ლაპარაკობთ, როგორც ჭევიან ადამიანს შეეფერება. თანახმა ვარ დავი-
ცადო, სანამ დრო თვითონ არ დაგვამეგობრებს. ისე კი, იცოდეთ: თქვენი
გულისთვის ყველანაირ განსაცდელს სიხარულით შევეგებები. აბა, სცა-
დეთ, იქნებ მეც გამოგადგეთ რამეში. იმასაც გეტყვით, რომ „ზეროთ“ დი-
დი ნაცნობობა მაქვს, გავლენიან ხალხში სიტყვა მეთემის, მაფასებენ, მენ-
დობიან. იქნებ თქვენც მენდოთ და რაიმე საქმეში გამომიყენოთ. გეფი-
ცებით არ დაგზარდებით და თქვენი გულისთვის შეუძლებელს შევძლებ.
მანამდე კი ერთი სათხოვარი მაქვს და უარს ნუ მეტყვით: ცოტა ხნის ნინ
სონეტი დავწერე. თქვენს მეტს ვერავის ვანდობ მის შეფასებას. იქნებ მო-
მისმინოთ და თქვენი აზრი გამიზიაროთ?

პალცესტი — სიმართლე გითხრათ, ამ საქმეში მსაჯულად არ გამო-
გადგებით.

ორონტი — ვითომ რატომ?

პალცესტი — ზედმეტად პირდაპირი ვარ და ვაითუ არ მომენტოს...

ორონტი — მეც თქვენი პირდაპირობის იმედი მაქვს. გთხოვთ არა-
ური დამიმალოთ და გულაბდილად შითხრათ თქვენი აზრი. სხვანაირად
ხო თავის მოტყუება გამომივა და სხვა არაფერი.

პალცესტი — კარგით, რახან ასეა, გისმენთ. აბა, დაინტერ!

ორონტი — „სონეტი“... ხომ გითხარით, სონეტია-მეთეი; „იმედი...“
ხვდებით, არა? ერთ ქალს ეძღვნება, რომლის ქცევაც, ცოტა არ იყოს მაი-
მედებას, რომ ჩემს გრძნობას უპასუხოდ არ დატოვებას. „იმედი...“ თანაც
გაფრთხილებთ: ეს დიდი პოემა არ გეგონოთ, გამოჩენილი პოეტები რომ
უძღვნიან ხოლმე თავიანთ გულის ვარდებს. ეს სულ პატარა ლექსია, ნაზი,
თბილი, რბილი, მაგრამ შიგ დიდი სიყვარული ჩავაქსოვე. იმედია, მიხვ-
დით, რასაც გეუბნებით. თუმცა, მეც რას მივედ-მოვედები, თქვენ უჩემო-
დაც კარგად გაიგებთ ყველაფერს.

(თან შეგადაშეგ ალცესტს უყურებს).

ალბერსტი — კმიარა ამიდენი ახსნა-განშეარტება. აბა, ვნახოთ ერთი, რა ჭანერეთ.

ორონტი — „იმედი...“ პო, მართლა, სტილი შეიძლება ცოტა ჩაბლაკის უსული მოგეჩვენოთ და მაინც და მაინც ვერც სიტყვები გამოხატავდნენ იმას, რისი თქმაც მინდოდა, მაგრამ...

ალბერსტი — კარგით, გეყოფათ, რა საჭიროა ამდენი ლაპარაკი; ჯერ წაიკითხეთ და დანარჩენს მერე გეტყვით.

ორონტი — თანაც გაითვალისწინეთ, რომ ლექსი სულ რაღაც თხუ-თმეტ წუთში დავწერ.

ალბერსტი — გავიგე, გავიგე, მაგრამ იცოდეთ: დროის წანგრძლივობას ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. აბა, იქნებ მაღირსოთ და ბოლოს და ბოლოს წამიკითხოთ!

ორონტი —

„L'espoir, il est vrai, nous soulage
Et nous berce un temps notre ennui;
Mais, Philis, le triste avantage
Lorsque rien ne marche apres lui“.

(მართალია, იმედი შეებაპ ჟვაბქლეუბს და ცოტა ხნით დარდსაც გვიქარებს,
მაგრამ, ჩემი ფილის, რა აზრი აქვს მარტო-
ოდენ იმედს, თუ მას სხვა არაფერი არ
მოჰყვება).

ფილისტი — მე, პირადად ამ პატარა სტროფით უკვე მოზიბლული ვარ.

ალბერსტი — რას ამბობ? ნუთუ მართლა მოგწონს ეს სისულელე?

ორონტი —

„Vous eutes de la complaisance;
Mais vous en deviez moins avoir
Et ne vous pas mettre en dépense
Pour ne me donner que l'espoir“.

(თქვენ ძალიან თავაზიანი წართ ჩემს შიშართ,
მაგრამ თუ იმედს შიღმა სხვა არაფერი დგას,
უისურვებდი, რომ ეგ თავაზიანი მოპყრობა
უნეშობით შეგეცვალათ).

ფილისტი — აბა, უსმინე ერთი, რა ლამაზი სიტყვები უშოვია თავისი გრძნობების გამოსახატად!

ალბერსტი (ხმადაბლა) — უსინდისო წარ და მეტი არაფერი! ამ უან-რობას როგორ აქვთ?

ორონტი —

„S'il faut qu'une attente éternelle
Pousse a bout l'ardeur de mon zèle,
Le trépas sera mon recours.

Vos soins ne m'en peuvent distraire,
Belle Philis, on désespére
Alors qu'on espére toujours".



(თუ უსასრულო მოლოდინი გრძნობას გამინელებს,
ვისურვებდი, რომ სიკედილში მეპოვა შეება.
თქვენი თავაზიანობა ჩემს დარდს ვერაფერს
უშველის; ლამაზო ფილის, უიმედოდ ვარ,
თუმცა კიდევ იმედი მაქვს).

ფილინტი — ნახე, ერთი, რა მშვენიერად დაასრულა სათქმელი!

ალექსატი — ხმა ჩაიწყვიტე, ეშმაკის კერძო, თორებ ისეთ დღეს და-
გაყრი, რომ მართლა დასასრულს მოგანატრებ!

ფილინტი — რატომ არ გჯერა, რომ ასე კარგად გარითმული ლექსი
ჯერ არ გამიგონია!

ალექსატი — ღმერთო ჩემი ეს რა შესმის!

ორონტი — იმიტომ მაქებთ, რომ გინდათ მასიამოვნოთ, არა?

ფილინტი — არა, თქვენს სიამოვნებას სულაც არ ვცდილობ.

ალექსატი (ხმადაბლა) — მაშ რა გალაპარაკებს შე მატყუარავ?

ორონტი — თქვენ კი, იმედია, ჩვენი შეთანხმება არ დაგვინწყებით.
გთხოვთ არ მომერიდოთ და თქვენი აზრი გულახდილად მომახსენოთ.

ალექსატი — აბა, როგორ გითხრათ, სხვისი გაკრიტიკება არც თუ
ადვილი საქმეა. თანაც, თავად უკეთესად მოგეხსენებათ, ადამიანებს გვი-
ყვარს როდესაც გვაქებენ. ერთი სიტყვით, შენიშვნას ვერ ვიტანთ. მე კი,
ერთხელ, ერთ პიროვნებას, სახელსა და გვარს არ დავასახელებ, არც ვა-
ციე, არც ვაცხელე და პირში მივახალე ჩემი აზრი მის, ასე ვთქვათ, ლექ-
სებზე. რატომ უნდა მოვრიდებოდი? თუ ადამიანს ხელები გექავება და წე-
რას ჰყავხარ ატანილი, აუცილებელი კი არ არის ლექსები წერო! თუ
მაინც და მაინც საკუთარ გრძნობებს ველარ ერევი და რაღაცას დაჯ-
ლაბინი, შენთვის უნდა შეინახო და არა საქვეყნოდ გამოიყინ — აი, ნა-
ხეთ, რა ჭკვიანი და ნიჭიერი ბიჭი ვარო! თანაც, მოითხოვენ გვაქეთ და
გვადიდეთო!

ორონტი — ამით რის თქმა გინდათ? ე. წ. მეც შევცდი, რომ ლექსი
ნაგიკითხეთ და აზრის გამოთქმა გთხოვთ, არა?

ალექსატი — არა, არა, რას ამბობთ! მე იმ სხვაზე მოგახსენებდით,
იმედი რომ პეტონდა „შედევრს“ შეუტებდი. თავისი ლექსებით იმან ხომ
საკუთარი თავი გალაზნდა! იმ ადამიანს შეიძლება მრავალი კარგი თვისე-
ბა პეტონდა, მაგრამ ხალხი მას, როგორც ცუდ პოეტს, ისე გაიცნობდა. აბა,
ეს საქმეა?

ორონტი — ჩემს სონეტზეც იგივე აზრისა ხართ?

ალექსატი — არა-მეთქი, ხომ გითხარით, თქვენზე არ ვლაპარაკობ.
ისევ იმ უნიჭოზე გელაპარაკებით. იმასაც უუთხარი და თქვენც გიმეო-
რებთ: იცით, რამდენმა ლირსეულმა ადამიანმა გაიტეხა სახელი იმით, რომ
წერის წყურვილს ვერ მოერია! აბა, რა უნდოდათ, რისთვის აიტკიის
აუტიკვარი თავი?

ორონტი — მაშ, ჩემი ლექსებიც არაფრად არ ვარგა და მეც იმ ჭაი-
პოეტების რიცხვს მივეუთვნები, არა?

ალექსატი — არა, ამას თქვენს გასაგონად როდი ვამბობ. ისევ იმ
გიზ-პოეტას ამბავს გიყვებით. პოდა, კიდევ იცით, რა ვუთხარი? რა იყო,
108

შე კაი კაცო-მეფეები, განა რა აზრები გიტრიალებდა ისეთი თავში, რომ
მაინც და მაინც უნდა გაგერითმა და საქვეყნოდ გამოგეხტებინა-მეფეები? რომ კარგად მითქვია? თანაც, ახლა დაბეჭდვაც რომ მომინ-
დომა! აი, ეს კი უკვე დანაშაულია! ასეთ ცოდვას მხოლოდ უბედურ და
გაჭირებულ კაცს ვაპატიებ, რომელიც იძულებულია ლუკრის ჟუ-
ლი ლექსების წერით იშოვოს. მაგრამ შენ თუ საამისო გატირვება არ გა-
დგას, შეძლებულ კაცად ითვლები და ლექსებსაც მხოლოდ საკუთარი თა-
ვისა და სხვების გასართობად წერ, აბა, ახლა იმ სხვებს ჰყითხე, ერთობიან
მაგ შენი ნაცოდვილარით? ზრდილობის გულისთვის რომ გისმენენ და
ცალყბად გაქებენ, მართლა პოეტი ხომ არ გონია შენი თავი? აი, ასე
ვარიგებდი იმ კაცს. გავაგებინე რამე თუ ვერა, არ ვიცი, მე ჩემი ველადე,
დანარჩენი უკვე თავისი საქმია, რაც უნდა, ის უქნია.

ორონთი — რა დღეში ჩაგიგდიათ ის საწყალი! ისე კი, მაგარ-მაგა-
რი სიტყვები გითქვამთ! მაგრამ ამ ჩემს სონეტზე მაინც არაფერს ამ-
ბობთ...

პლუსტი — გულახდილად რომ გითხრათ, კაბინტური ლექსია. ვერ
მიმიხუდით? აი, როგორ გითხრათ, ასეთი ლექსი სახლში უნდა გედოთ და
არავის ნააკოთხოთ. არა მგონია, ვინმეს ესიამოვნოს მაგისი მოსმენა. მო-
იცათ, მოიცათ, ჯერ ბოლომდე მომისმინეთ და მერე დაიცავით ეგ თქვენი
„შეძლევრი“. როგორც გატყობთ, ამ დროის ფეხის ხმას აყოლილხართ და
რაღაც ყურით მოთხრეული სიტყვებით შეგიკონინებიათ ეგ თქვენი ლექ-
სი. აბა, ერთი მითხარით სად გაგიგონიათ „იმედი ცოტა ხნით დარდს გვი-
ქარვებს“, ან კიდევ „თუ მას სხვა არაფერი არ მოჰყვება“, კიდევ რა იყო?
პო, გამახსენდა: „ლამაზო ფილის, უიმედოდ ვარ, თუმცა კიდევ იმედი
მაქვს“. თქვენ ამ აბდაუბდას ლექსს ეძახით? თქვენ შეიძლება ეძახით, მაგ-
რამ მე ვერ დაუუძახებ და ნურც დამაძალებთ. გაგიგონიათ, რომ საღმე
ვინმე ასე გადაპრანჭულად ლაპარაკობდეს? თუმცა, არც მთლად თქვენი
ბრალია — ეს უგემოვნობაც ამ საუკუნემ მოიტანა. აბა, გაიხსენეთ, რა
ვაუკაცურ ლექსებს გამოთქვამდნენ ჩვენი მამა-პაპანი:

„Si le roi m'avait donné
Paris, sa grand'ville,
Et qu'il me fallat quitter
L'amour de ma mie,

Je dirais au roi Henri:
Reprenez votre Paris,
J'aime mieux ma mie, au gué,
J'aime mieux ma mie“.

(მეფემ დედაქალაქი პარიზი მომცეს და მითხრას შენი მიჯნური ში-
ატოვეო, მე ვეტყვი მეფე ანრის უკან წაიღოს, პარიზი, მე ხომ ჩემი საყვა-
რელი მთელ ქვეყანას მირჩევნია).

პა, რას იტყვით, როგორია! ხომ დაგიარათ ცეცხლმა ქარლვებში! მა-
რთალია, რითმა სიმდიდრით ვერ დაიტრაპახებს და სტილიც მოძველებუ-
ლია, მაგრამ სად ეგ თქვენი უსუსური გრძნობების კნავილი და სად ეს
ომახიანი შეძახილი! აბა, ერთხელ კიდევ მომისმინეთ:

„Si le roi m'avait donné
 Paris, sa grand'ville,
 Et qu'il me fallut quitter
 L'amour de ma mie,

Je dirais au roi Henri:
 Reprenez votre Paris,
 J'aime mieux ma mie, au gué,
 J'aime mieux ma mie".

(Թեղեթ դեდայալու Ապրիշի մոմբյան գա մոտերած Շենք մոշնուրո մո-
 ակուցո, թէ առաջան մուզ աճրու լոյս պարու մարտի, թէ եռմ հիմո սապ-
 արելո մտել վայսանաս մորիշընօ).

«Ո, յե արու Շեպարեծունո աֆամունու սուլուցուն գա արա ու տէզենո
 „մուշու մայքս գա մանու շումեգու զար” ու հալապ չանձաձա նշանուրագ
 շամարու յո թախսոցս!»

(Շոլոնին մուգուրուալդեմա).

Շեն հալա զաւոնեմա՞ Հա, լիպուու զամինո՞ տացո դուժագ յո մողայքս,
 մացրամ օսու յո զեր ցացոցա, րոմ մաց տէզեն պալծ ծրուլունուրեմս ամ,
 յրտո Շեթեցուտ, աւաշեցենացո սուլուցուն հասարաւո ատասչեր սցոնձա!

Որո՞նումո — յո յո զարնմունեմա, րոմ հիմո լոյքսո մալունապ մշացենու-
 րուա!

ԱԾՈՎԵՍՏՈ — յա չացո տէզենո սայմեա. մո յո մաց սուսպալալուցուն տացս
 զեր ազումուց. մո Շեն ջնիմաց գա, մացանչ յարցո լոյքսո մեղլո սամով-
 նելուա!

Որո՞նումո — գուգո ամիացո, տէզեն ու ար մողենոն. սամացուրոգ,
 սեցու մայքեմեն.

ԱԾՈՎԵՍՏՈ — օմատո եղուու լիպուունու տէմիա, մո յո լիպուունուսացան
 լուրուտիմա գամուցարուս!

Որո՞նումո — հոգորու զեցազ, օմացու փուա ցյոնուտ, րոմ սեցունսապ
 շորոցցեմա!

ԱԾՈՎԵՍՏՈ — տէզենո լոյքսո րոմ Շեմեյշ, ալծատ, փուա-ցոնեմաս ալար
 գամունունեմանու!

Որո՞նումո — արա սիազս Հա, տէզենո Շեյքեմուս զարնշեց հոգորմու զա-
 վացեմ.

ԱԾՈՎԵՍՏՈ — Հաս ոհամտ, սնագ ցասմուտ, տէզեն ու հիմս յեմաս ըլ-
 ուրուտ, գուցեանս մոցունցու լուրունու!

Որո՞նումո — ածա, յրտո, տէզեն գանցըրետ լոյքսո; ցնածա Հա ցամո-
 ցուատ!

ԱԾՈՎԵՍՏՈ — արայերո րոմ ար ցամոմոցա, օմուտոմապ ար ցեներ. պացել
 Շեմտեցեցամո, ու եղու նամունուրեմս գա աւաներ, տէզենսացոտ մտել վա-
 սանաս յո ար Շեցորո գա աւասալլեմ, ցոնդա ու արա Շեմայետ-մետյո!

Որո՞նումո — ուուտա նույնմետագ եռմ ար մոնունեմա լոյքսս?

ԱԾՈՎԵՍՏՈ — Հա զենա, Հա ցոյուտ, մոմենունեմալուցուն սեցացան յեմետ!

Որո՞նումո — մալուն մուալու պոցուլսարտ!



ალცესტი — მეაცრი კი არა, სამართლიანი ვარ! მე ჩემი გითხარით, დანარჩენი უკვე თქვენი საქმეა.

ფილინტი (შუაში ჩადგება) — კარგით, ახლა, გეყოფათ! რა მოწოდება აქ საჩხებარი და საკამათო!

ორონტი — ბოდიში, ბოდიში თქვენ რას გერჩით, ყველაფერი ჩემი ბრალია!

ალცესტი — პირიქით, მე მაპატიეთ, ცოტა ზედმეტად გავცხარდი.

სცენა III. — ფილინტი, ალცესტი

ფილინტი — აპა, ხომ გეუბნებოდი! ხომ ხედავ, რა უსიამოვნებას გა-დაეყარე მაგ შენი საამაყო პირდაპირობით კაცს თურმე უნდოდა მაგისი ლექსები შეგექო, მე კიდევ ფუიქრობდი, რა ცაში აჲყავს ეს ჩვენი ალცესტი-მეტექი!

ალცესტი — კარგი ერთი, ამაზე ლაპარაკი აღარ მინდა. ან კი წე-დან რა ენა მექავებოდა, რომ მიგას ელაპარაკებოდი!

ფილინტი — ისე, რა იქნებოდა ერთი-ორი ტებილი სიტყვა რომ გა-გემეტებინა? კაცს გულს გაუხარებდი, ასიამოვნებდი. ასე არ აჯობებდა? შენ კი დაიჩინე: ეს სიმართლეო, ეს პატიოსნებაო. ნეტა ვის რად უნდა ეგ შენი სიმართლე!

ალცესტი — თუ ადამიანებს სიმართლე აღარ სჭირდებათ, მაშ, მე აღარაფერი მესაქმება მათთან!

ორონტი — ოო, ეს უკვე ნამეტანია! რა კაცი ხარ, არაფერში ზომა არ იცი!

ალცესტი — გამანებე თავი, თუ ღმიერთი გწამს!

ორონტი — მოიცა, ერთი სიტყვა მათქმევინე...

ალცესტი — ხმა-მეტექი!

ფილინტი — რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს, რა დაგემართა?

ალცესტი — ნუ მელაპარაკები-მეტექი, მაინც არ გისმენ.

ფილინტი — ერთი სიტყვა, მხოლოდ ერთი სიტყვა მათქმევინე და ხმას აღარ ამოვილებს!

ალცესტი — ვერ გაიგე,, რა გითხარი?

ფილინტი — მაგ შენი პირდაპირობით შეურაცხყოფა კი არ უნდა მიაყენო ადამიანებს...

ალცესტი — ღმიერთო ჩემი! რა დავაშავე, ამას ვის გადავევიდე! მე-ტის ატანა უკვე აღარ შემიძლია! წადი რა, საქმე არა გაქვს, რა კუდში დამდევ!

ფილინტი — აბა, რას ამბობ! ახლა შენი მარტო გაშვება შეიძლება? რამდენიც გინდა მლანძლო, მაინც არ მოგეშვები!

მეორე მოძრადება

I სცენა — ალცესტი, სილიმანა

ალცესტი — რაღა დაგიმალო, სელიმენა და, შენი ქცევა არ მომწონს, იმდენი ბოლმა დამიგროვდა გულში, რომ აღარ ვიცი რა ვქნა. ადრე თუ გვიან ხომ უნდა ვუთხრათ ერთმანეთს სათქმელი და მოდი, ბარემ გულახ-

დილად ვილაპარაკოთ. მე ჩემსას გეტყვი, შენ შენი მითხარი, იქნებ არც/ისე ცუდადა საქმე, როგორც მე მგონია. ავად თუ კარგად რაღაც ვარკვევთ და იქნებ მეც ცოტა გული დავიშვიდო. რას იტყვი, ხომ შაო-თალს ვამზობ?

სელიშენა — კი, მაგრამ, ვერ გამიგით, აյ უასებრად მოხვედი?

ალცესტი — ჩეუბი რა შუაშია? რახან ვერ მიხვდი, რის თქმაც მინ-და, პირდაპირ გეტყვი რაღაც ძალიან ბევრი კაცი ტრიალებს შენს გარ-შემო, თანაც ვატყობ, რომ ყველას თვალში მოსდიხარ. მარტო ეს რომ იყ-ოს, რაღა მიტირდა? გული იმაზე მისედება, რომ შენც ყველას უცინი, ეყვალუცები და გულს უწევენებ. როგორ ფიქრობ, ჩემთვის ამის ატანა ად-ვილა?

სელიშენა — რა უცნაურად მელაპარაკები? რა ჩემი ბრალია თუ აცებს მოვწონვარ? რა ვენა, ავუკრძალო შემოხედვა თუ ჯოხით დავე-რიო და აქეთ-იქით მივუანტ-მივუანტო? აბა, მითხარი ერთი, როგორ მო-ვიქცე?

ალცესტი — არა, იმას კი არ გაუბნები, აშარი ქალივით მოიქცი და ხალხი დააფრთხე-მეტეი. აბეზარი კაცები კეტით კი არა, შენი თავდაჭე-რით უნდა მოიგერიო. მე ისიც ვიცი, რომ შენისთანა ლამაზ ქალს თაყ-ვანისმცემლები არ მოაკლდება, მაგრამ შენ თუ ყველას სახლისა და გუ-ლის კარებს გაულებ, ეგ რაღა გამოვა?! განა მართალს არ ვამზობ? აი, თუნდაც, ის კლიტანდრია თუ ვიღაცა, ვინ არის, რას ნარმოადგენს, დღე და ღამე აქ რომ გიზის და თვალებს უჟუჟუნებ? გამაგებინა მაინც, რითი მოგანონ თავი? იქნებ ნეკა თითზე გაზრდილმა ფრჩისილმა მოგატაცა თვა-ლი? ან იქნებ მისი განეწილი თმა გხიბლავს? არა, მაინც რასა ჰევას ეს კაცი! ჩატამა მაინც იცოდეს! ჩაყუდებულა რაღაც ჩაუართხუნებულ შარ-ვალში, აუსხია ათასი ზიზილ-პიპილო და თავი მწვანე კიტრივით მოაქცის! თანაც, რა ყალბი სიცილი აქცის! პირდაპირ გული აგერევა! აი, ასეთმა კა-ცმა როგორ მოგანონ თავი?

სელიშენა — რა მოხდა, რა ლანძლვა-გინების კორიანტელი დააყე-ნე! საწყალი კლიტანდრი! რახან ვუცინი, ეს მაინც და მაინც იმას კი არ ნიშნავს, რომ მაგის არშიცობას მხარს ვუბამ! ნუთუ ვერ ხვდები? ჩემი საქმეების მოსაგარებლად მჭირდება და იმიტომაც ვუცინი. ისეთი ნაც-ნობობა ჰყავს, ნამდგილად ვერ დავკარგავ.

ალცესტი — ჯანდაბას შენი საქმეები! მოიშორე ეგ კაცი თავიდან და მაგისი მეტოქეობით მეც ნერვებს ნუ მომიშლი!

სელიშენა — მაშ, გამოდის, რომ შენს დასაშოშინებლად ჩადრი უნ-და ავიტარო და ისე ვიარო!

ალცესტი — ჩადრის აფარებას არავინა გთხოვს, მაგრამ არც ის მო-მნის, რომ ყველა გამვლელ-გამომვლელს სიცილ-კისკისითა და ხვევნა-კოცით ეგებები!

სელიშენა — რა ვენა, მე ყველას ერთნაირად ვხვდები. ვინმე რომ გამორჩეული მყავდეს, შენი ეჭვიანობა გასაგები იქნებოდა, მაგრამ თუ ყველა კაცი ჩემთვის ერთნაირი გასართობია, შენ რაღა გაღელვებს, ვირ გამიგია!

ალცესტი — რა არის აქ გაუგებარი, სელიმენა? სწორედ მაგისი მე-შინია, რომ იმათსავით მეც შენი გასართობი ვარ და მეტი არაფერი! განა რა უშიორატესობა მაქვს იმათოან შედარებით?

სელიშენა — აბა, იმათ როგორ ედრები! სად ისინი და სად შენ! შენ რა, ვერ ხვდები, რომ მიყვარხარ?


ალცესტი — გიყვარვარ? მერე და, რით დამიმტკიცებ მაგას? სელიმენა — რა, სიტყვაზე არ მიჯერებ? მიყვარხარ-მეთქი გეუპნები, მეტი რაღა ვენა? მე სხვანირად სიყვარულის ახსნა არ შემძრლია.

ალცესტი — ეგ ყველაფერი კაი, მაგრამ იქნებ ორიოდე წუთის შემდეგ სხვასაც გაუმეორო ეგ სიტყვები, მაშინ რაღა ვენა?

სელიმენა — აა, გაგიხარდა არა, რომ გითხარი მიყვარხარ-მეთქი? მაინც რანაირები ხართ ეს შეყვარებული მამაკაცები! დღეში ათასჯერ თუ არ გითხრათ ქალმა ქათინაური, ვერ მოისვენებთ! თუ იმის შიში გაქვს, რომ ეს სიტყვები კიდევ ვინმეს უნდა გაუმეორო, აპა, ისევ შენ გიმეორებ: მიყვარხარ! კმაყოფილი ხარ?

ალცესტი — ღმერთო ჩემი! კმაყოფილი კი არა, უბედნიერესი ვარ! აი, ამ წუთას მზადა ვარ გული ამოვიგლიჯო მკერდიდან და ფეხვებში დაგიდო! ჩემი სელიმენა, რომ იცოდე, როგორ შინდა, რომ არ მიყვარდე! როგორ მინდა, მაგრამ არაფერი არ გამომდის! ალბათ, ისეთი ცოდვილი ვარ, რომ ღმერთმა შენი სიყვარულით დამსაჯა!

სელიმენა — მაგაში კი მართალი ხარ. შენნაირი გიჟი შეყვარებული ვერ არ შემხვედრია.

ალცესტი — სად შეგხვდებოდა? აპა, ერთი ვინმემ გაბედოს და შენს სიყვარულში გამეჯიბოროს!

სელიმენა — შეჯიბრებას ვინ გაგიბედავს! თანაც სიყვარულსაც ხომ გააჩინა? აპა, ვის გაუგონია, რომ კაცი საყვარელ ქალს გამუდმებით საყვედურებით ავსებდეს, ეჩსუბებოდეს და თავის სიყვარულს ამადლი-დეს?

ალცესტი — შენც ადექი და ისე მოიქეცი, რომ ჩემი სასაყვედურო არაფერი გქონდეს. მოღი, ერთი, გული გადავუშალოთ ერთმანეთს და მე-რე იქნებ მოვრჩეთ ამ უაზრო დავიდარაბას...

სცენა 11 — სელიმენა, ალცესტი, ჩასტი

სელიმენა — რა ამბავია? მოხდა რამე?

ჩასტი — რა უნდა მომზადარიყო, უბრალოდ, აკასტი მოვიდა.

სელიმენა — მერე რაღას უცდის, რატომ არ შემოდის? დამიძახე ერთი!

ალცესტი — აპა, რას გეუბრებოდი? შენ ხომ კაცი ვერ დაგიმარტო-ხელებს! არ იღლები მაინც ყოველდღე ამდენი ხალხის მიღება-გასტუმ-რებით? რა მოხდებოდა, რომ არ გამოჩენილიყავი, ვითომ სახლში არა ხარ. რას გაიგებდა ის შენი აკასტია თუ ვიღაცა ოხერი!

სელიმენა — რას ამბობ! მერე რომ გაეგო, რომ მოვატყუე და და-ვებალე, რას იფიქრებდა? ხომ ეწყინებოდა?

ალცესტი — როგორც ვატყობ, ეს კაცი შენთვის სულერთი არ უნდა იყოს. ასეც ვიცოდი.

სელიმენა — რა იცოდი, რა? ალარ შემიძლია ამდენი თავის მართ-ლება! ეგ ისეთი კაცია, რომ გაიგოს მაგის დანახვა არ მსიამოვნებს, არა-ხოდეს არ შაპატიებს.

ალცესტი — არ გაპატიებს და წუ გაპატიებს! ახლა მაგაზე დაგიდგა დარღები!

სელიმენა — ოო, ღმერთო ჩემო! შენ ხომ კაცი ვერაფერს გატაგების ნებს! შენ იცი, ვინ არის აკასტი? იცი, რა ხალხში ტრიალებს? რომელიც დაგრამ, თუ მოინდომა, ცუდის გაკეთება ნამდვილად შეუძლია! არა, არა, რას ამბობ, ნამდვილად არ მაწყობს აკასტის გადაკიდება!

პლიუსტი — რა გაეწყობა! შენთან კამათი წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი! სიტყვას მოგიგებს ვინმე თუ რა! ათასგვარ მიზეზს იგონებ, რომ შენი ქარაფშეტობა გაამართლო!

სცენა III. — ბასა, პლიუსტი, სელიმენა

ბასა — სელიმენა, კლიტანდრი მოვიდა!

პლიუსტი — ეგლა აკლდა აქაურობას!

(წასასვლელად წამოიწევს).

სელიმენა — რა იყო, სად გარბიხარ?

პლიუსტი — არ გავრბივარ, მივდივარ.

სელიმენა — დარჩი, სად გეჩქარება.

პლიუსტი — რომ დავრჩი, რა ვაკეთო?

სელიმენა — რა უნდა აკეთო, უბრალოდ, დარჩი.

პლიუსტი — არ შემიძლია.

სელიმენა — რას ჰქვია, არ შეგიძლია! მე მინდა, რომ დარჩე და დარჩები კიდეც!

პლიუსტი — შენს სტუმრებთან არაფერი მესაქმება. მაგათი ლაქ-ლაქის თავი არა მაქეს.

სელიმენა — უაზრო მიზეზებს ნუ იგონებ. არ გესმის, რას გეუბნები: მე ძალიან მინდა, რომ დარჩე!

პლიუსტი — არა, არა, ნამდვილად არ შემიძლია!

სელიმენა — კაი, ბატონო, არ გინდა და ნუ გინდა, წალი!

სცენა IV — ელიანტი, ფილინტი, აკასტი, პლიტანდრი, პლიუსტი, სელიმენა, ბასა

ელიანტი — აი, ორი სტუმარიც მოვიყენეთ, შეიძლება?

სელიმენა — მოდით, მოდით, დასხედით. სავარძლები ხომ საკმარისია ყველასთვის? (პლიუსტის მიშართავს) შენ ისევ აქა ხარ?

პლიუსტი — ჴო, დავრჩი, მაგრამ ერთი პირობით: უნდა აირჩიო — ან მე, ან ისინი.

სელიმენა — რას ამბობ! რა დროს ეგ არის!

პლიუსტი — ამას დრო და უამი არ უნდა. იცოდე, ყველაფერი გულახდილად უნდა აღიარო.

სელიმენა — შენ, მე მგონი, სრულ ჭეუაზე არა ხარ.

პლიუსტი — ძალიან კარგ ჭეუაზე ვარ. რასაც გეუპნები, ის გააკეთე!

სელიმენა — რა ვქნა, როგორ გავაჩუმო ეს კაცი!

პლიუსტი — კარგი, მე გავჩუმდები, მაგრამ შენ იღაპარაკებ!



სელიმინა — ნუთუ არ გესმის რა უხერხულ მდგომარეობაში შა-
ყენებ?

პლიტი მესტი — მე შენი მდგომარეობა არ მაინტერესებს. კიდევ უფრო მარტივი
ხელ გიმეორებ: ან ისინი, ან მე. მორჩია! ამევსო უკვე მოთმინების ფი-
ალი!

პლიტანდრი — გეხვეწებით, ერთი ნუთით ყური დამიგდეთ! ახლა
ერთ ადგილას ვიყავი, კლეონტიც იქ იყო. უნდა გენახათ რა დღეში იყო!
ნამდვილი მაიმუნია! ნუთუ ერთი ახლობელიც არა ჰყავს, რომ ურჩიოს
ცოტა წესიერად დაიჭიროს თავი?! არა, ხუმრობა და გართობა გამიგონია,
მაგრამ ასეთი?

სელიმინა — მართალი ხარ. ერთ-ორ კაცს რომ დაინახავს, მაშინვე
ტაკიმასხარად იქცევა. თანაც შეხედავ თუ არა, მიხვდები, რომ მთლად და-
ლაგებული ვერ არის. ერთი სიტყვით, ძალიან უცნაური კაცია ეს ჩვენი
კლეონტი.

პპსტი — მაგას კიდევ რა უჭირს? თქვენ უნდა გენახათ იმ დღეს
რა მიქნა იმ ენაგატლეებილმა დამონზა! ღმერთო ჩემო, სანთლით რომ
ეძებო, მეორე ეგეთ ყბედს ვერ იპოვი! რომ დამაყენა ქუჩაში ამ პაპანაქე-
ბა სიცხეში და დაინყო ქაქანი, სად გაქცეულიყყავი, აღარ ვიცოდი. მე
შენ გეტიგვი და, სალაპარაკო შემოელევა! მთელი ქვეყნის ჭორები ზე-
პირად იცის.

სელიმინა — მართლაც რომ იშვიათად შეხვდები ეგეთ ჭორიკანას!
თანაც, დაკვირვებიხართ, როგორ ლაპარაკობს? თითქოს ყველაფერს გე-
უბნება და მერე რომ დაფიქრდები, მიხვდები, რომ არაფერიც არ უთქვამს.
მოკლედ, სიტყვაზე ვერ გამოეკიდები.

ელიანტი (ფილინტი) — დასაწყისს არა უშავს რა. ისეთი შემართე-
ბით დაიწყეს, როგორც ვატყობ, კაი ხანს არ გაჩერდებიან.

პლიტანდრი — ტიმანტზე რაღას იტყვი, სელიმინა, ეგაც ცოტა უც-
ნაური კაცი ჩანს.

სელიმინა — ოჟ, მაგას ნულარ მიხსენებ! მაგ კაცისა ვერაფერი ვერ
გავიგე. ისეთი საქმიანი სახით დადის, მაგაზე დაკავებული ამქვეყნად
არავინ გეგონება. ისე კი, მე მგონი, კაი უსაქმურია. თანაც ისე მოაქვს
თავი, თითქოს ყველას მესაიდუმლე და ჭირ-ვარამის გამზიარებელია. მე-
რე როგორი გაზივადება იცის? რომ იტყვიან, ბუზს სპილოდ გადააქცევს.
გეჩურჩულება, გეკურეულება, ლამის არის „გამარჯვობაც“ ყურში გითხ-
რას.

პპსტი — უერალდი დაგავიწყდა, სელიმინა, უერალდი!

სელიმინა — რას ამბობ, მაგის დავიწყება როგორ შეიძლება! თუმცა,
რას ვერჩით, უყვარს კაცს გამოჩენილ ხალხში ტრიალი და რა ჩანს! რო-
გორც კი გაიგებს, ესა და ეს კაცი ამა და ამ თანამდებობაზე დანიშნეს,
მაშინვე ლანდივით აედევნება და სანამ არ დაუძმაკაცდება, მანამდე მო-
სვენებას არ მისცემს. ჩინებსა და ჯინჯილებზე ეგრე გაგიჟებული ადამი-
ანი ჯერ არ მინახავს.

პლიტანდრი — როგორც ამბობენ, ბელიზასთან დიდი ახლობლობა
და მისვლა-მოსვლა ჰქონია.

სელიმინა — მაგასაც დიდ ვინიშესთან ჰქონია სიახლოვე! ბელიზა-
ნაირ მოსაწყენ და გონიერაჩილუნგ ქალს იშვიათად შეხვდები ცხოვრებაში.
უნდა ნახოთ ერთი რა შავ დღეში ვარ ეგ რომ ჩემთან მოდის! ზის სტერი-
ვით, ხმას არ იღებს, არ ჭამს, არ სვამს; მე კიდევ ათას სისულელეს მივედ-
მოვედები, რომ იქნებ როგორმე ხმა ამოვალებინო. მაგრამ არაფერი არ



გამომდის. ბოლოს, სიქაგაცლილს ენა რომ ჩამივარდება და მთენარება /
ამიტყდება, როგორლაც მოახერხებს და თავს დამანებებს ხოლმე. ზამთრობი
ლი ბაიუშია ეგ თქვენი ბელიზა და მეტი არაფერ!

პკსსტი — ბარემ ისიც გვითხარი, ადრასტიზე რა აზრისა ხარ.

სელიშვილი — რა აზრისა უნდა ვიყო? ერთი ძნდაურივით გაფხორილი
და თავის თავში შეყვარებული კაცია. დადის ცხვირანეული და მთელ ქვეყ-
ნიერებას ზემოდან დასცეკრის. ისე კი, როგორც გავიგე, ზოგ-ზოგიერთები
თურმე ძალიანაც უწევენ ანგარიშს მაგის რჩევა-დარიგებებს. ერთი სიტყ-
ვით, თუ რაიმე მოგონდებათ: თანამდებობა, ჯილდო, ჩინ-მედლები თუ ეპო-
ლეტები, ადრასტის უნდა მიაკითხოთ.

პლიტანდრი — არც ჩვენი ახალგაზრდა კლეონი მოგონს, სელიშვილი?
მთელი ჩვენი რჩეული საზოგადოება თურმე იმასთან იყრის თავს.

სელიშვილი — რატომაც არ მოიყრის რა! კლეონი პურმარილიანი
კაცია, უყვარს კაი სმა-ჭამა და მოლხენა. იმიტომაც ეხვევიან თავს ეს
ჩვენი უსაქმურები!

ვლინთა — ისე, რაც გინდათ, თქვით, მაგრამ კლეონს სუფრას და
მასპინძლობას ვერავინ დაუწუნებას.

სელიშვილი — ვაი, შენი ჭირიმე, გადამეტებული არაფერი არ ვარგა!
ეგეთი უაზრო და ჩერჩეტი კაცის არც სტუმრობა მინდა და არც მასპინ-
ძლობა ერთი ეგეთ სუფრებს არ შლიდეს ყოველდღე და დავინახავთ ვინ
მიუვა!

ვლინთა — რაღაც ამ ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ კლეონის
ბიძაზე, დამიზე. იმასაც ხომ არ იცნობ, სელიშვილი?

სელიშვილი — ვიცნობ რომელია! ჩემი მეგობარია!

ვლინთა — თქვენი არ ვიცი და მე კი მგონია, რომ დამი ჭკვიანი და
პატიოსანი კაცია.

სელიშვილი — მართალი ხარ, მაგრამ არც ისეთი ჭკვიანია, როგორც
თავი მოაქვს. მაგის ლაპარაკიც ნერვებს მიშლის. ისეთი შთაბეჭდილება
მრჩება. თითქოს ყოველი სიტყვა ნინასწარ აქვს გაზეპირებული და ანო-
ნილ-გაზომილი. ერთი-ორჯერ უთხრეს ჭკვიანი ხარო და მაჯასაც თავში
აუგარდა. კველაფერზე ტუჩის იბზუებს, არაფერი არ მოსწონს, კველა-
ფერს უირაობებს. ამქაუნაც არავინ და ალარაფირია მაგისი საკადრისი.
აი, თუ სიმართლე გინდათ, ასეთია ეს ჩვენი „ბრძენი“ დამი.

პკსსტი — უყურეთ ერთი ამ შეჩვენებულს! ზუსტად არ დაგვიხატა იმ
ჭკუის, კოლოფის პორტრეტი!

პლიტანდრი — ვერაფერს ვიტყვი, ჩემო სელიშვილი, ადამიანების და-
ხასიათებაში ბადალი არა გყავს!

ალცესტი — კარგით, კარგით, გეყოფათ, მოიღხანით ენა და ახლა
დამშვიდდით! რა აზრი აქვს ამ თქვენს, ლანძღვა-გინებას? დარწმუნებუ-
ლი ვარ, რომელიმე მათგანი რომ შეგხვდეთ, მაშინვე კისერზე ჩამოეკიდე-
ბით და ხოტბას შეასხამთ!

პლიტანდრი — ნეტა გამაგებინა ჩვენ რატომ გვსაყვედურობ? აი,
სელიშვილია! მოსთხოვე პასუხი, თუ რაიმე არ მოგონს. ჩვენ რა, ვსხედვართ
ჩვენთვის ნენარად, ეგ კი, მინასთან ასწორებს ყველას.

ალცესტი — მერე და არ იცით ვისი ბრალია, მაგას რომ ენა წაუგრ-
ძელებია და კველას რომ დასცინის? ვისი და თქვენი! დიახ, დიახ, თქვენი
ბრალია, რატომ მიყურებთ ასეთი გაკვირვებულები? სელიშვილია მწარე-
მწარე სიტყვებს ისვრის, თქვენ ტაშს უკრავთ, ხარხარებთ, კველაფერზე

ეთანხმებით და მაგასაც მეტი რა უნდა! თქვენ რომ ეგრე არ აქეზებდეთ, ეგეც ველარ გაბედავდა ყველას გამასხარებასა და გამაიმუნებას.

ჟილინტი — შენ რაღა გული გრძება, ეკრ გამიგია. ისე, საქმე ჟილინტი — შეზე რომ მიდგება, არც შენ იცი დანდობა თუ ვინმე თვალში არ მოგივიდა. რას ერჩი ამ პატიოსან ხალხს? ერთობიან, დროს ატარებენ. გაერთე შენც, ნეტა რას დარდობ, ვისხე რას იტყვიან!

სელიმენა — გაანებე, ფილინტ, თავი განა არ იცი ამისი ხასიათი? როგორ ეკადრება სხვისი აზრის გაზიარება! ყველაფერი თუ უკულმა არ შეატრიიალა, მოკვდება! თანაც, უნდა ნახოთ, როგორ სიამოვნებს ვინმეს რომ ეწინააღმდეგება! პირდაპირ დნება! მაგრამ, თუ დაეთანხმები, არც ის მოსწონს. ადგება და თავის ნათქვამს ისე გადაასხვაფერებს, ვითომც აქ არა-ფერიაო. მოდი, ახლა, შენ, სელიმენა, იმტკრიე თავი, რა მოსწონს და რა არ მოსწონს ამ ჩვენს ბრძნენთაბრძნენს!

ალექსატი — მერე და ვინ გითხრა თავი იმტკრიეო? რაც მთავარია, ამათ მოსწონთ შენი მახვილსიტყვაობა და მე ვიღა ვგდივარ! არა მგონია, ჩემს აზრს შენთვის რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს. შენც ადექი და შენებურად „შეამე“ ყველა. შეგიძლია მეც ზედ მიმაყოლო.

ჟილინტი — ნუ ბრაზობ, ჩემო ალცესტ. სელიმენა მართალს ამბობს. შენ მოსაწონ სიტყვას კაცი ვერ იტყვის. ვინმეს შეაქებ — რათაო, აძაგებ — რათაო, ველარ გავიგეთ, როგორ მოვიქცეთ.

ალექსატი — რა არის აქ გაუგებარი? აბა, მითხარით ერთი, გინახიათ, რომ ადამიანს ვინმე ოდესმე სამართლიანად განესაჯოს? დააკვირდით, როგორ აქებენ და ადიდებენ ერთმანეთს ადამიანები, როცა ერთმანეთი სჭირდებათ! მაგრამ, აბა, გაბედე და ერთი სიტყვა წამოგცდეს, რაც მათ არ ესიამოვნებათ! ისე დაგეხვევიან, როგორც დამშეული მგლები ცხვრის ფარას!

სელიმენა — რა დაგემართა, ალცესტ? მოიცა, მომისმინე ერთი წუთით...

ალექსატი — მე არაფერიც არ დამემართა! აი, მაგათ ჰყითხე რა და-ემართათ, ახლა რომ თვალებში შეგციცინებენ და პირს უკან რომ შენზე ჭორაობენ!

კლიტანდრი — თქვენი არ ვიცი, მაგრამ პირადად მე, დღემდე სელიმენა უნაკლო მეგონა. საჭორაო რა სჭირს?

პაპასტი — უნაკლო და ციდან ჩამოფრენილი ანგელოზია-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ მე რომ ვერ ავიტანო, ისეთი არაფერი სჭირს.

ალექსატი — შენ შეიძლება აიტანო, შაგრამ მე ვერ ავიტან. რამდენიც არ უნდა ეცალოს ეს ქალბატონი, ვერაფერს გამომაპარებს. სიყვარულმა კი არ უნდა დაგაბრმაოს და დაგაყრუოს, პირიქით, თვალი უნდა აგინილოს საყვარლის ღირსება-ნაკლოვანებებზე. მე მინდა, რომ ჩემი შეყვარებული ღირსეული და პატიოსანი ადამიანი იყოს. ასე, რომ, ჩემო სელიმენა, ჩემი სახით მკაცრი მსაჯული გყავს. მე არაფერი გამომეპარება, არც კი ეცალო, რაიმე დამიმალო!

სელიმენა — მაშ, შენი გულის მოსაგებად ნაცნობ-მეგობრებს უნდა ჩამოვშორდე და სახლში უნდა გამოვიკეთო: შენი აზრით, ადამიანის სიყვარული მის ლანძლვა-გინებაში გამოიხატება? ვერაფერს ვიტყვი, უცნაური სიყვარული გცოდნია!

ელიანტი — როგორც იტყვიან, ვისაც ვინ უყვარს, იმის ლამაზი ის

არის. შეყვარებულებს ერთმანეთზე უკეთესი არავინ ჰგონიათ, ერთმანეთის ნაკლიც დიდ ლირსებად მიაჩინიათ. აბა, ერთი გაუბედეთ შეყვარებულებაც და უთხარით, რომ მისი სატრფო, ცოტა არ იყოს, ფერმკროლისაც იცით, რას გიპასუხებთ? თურმე ნუ იტყვით და, მისი ავადმყოფური იერის შეყვარებული ფერმერთალი კი არა, მიბრძდილი იასამისერი ყოფილა! ზოგი ქალი კი ისეთი შავია, მისი დანახვაზე შეიძლება გული გაგისკდეს, მისი შეყვარებულის თქმით კი, არც მეტი, არც ნაკლები, ბოშასავით ეშხიანია! ჩხირივით გამხდარი ქალი ფერია ყოფილა, სქელი — დიდებული ქალბატონი, ფერთხუმი — მხოლოდ და მხოლოდ დაუდევარი მზეთუნახავი, აყლაყუდა — ციდან ჩამოფრენილი ქალლმერთი, ჯუჯა — სამყაროს სასწაული, ამპარტავანი — დედოფალი, ეშმაკი — გონიერი, სულელი — კუთილი, ყბედი — მხიარული, ხოლო მუნჯი — პატიოსნების განსახიერება. აი, ხომ ხედავთ, რა მიმტევებელია შეყვარებული მამაკაცი! რას იზამ, მართალია, საყვარელი ქალის ნაკლიც და ლირსებაც ერთნაირად უნდა გხიბლავდეს.

აღცესტი — არავითარ შემთხვევაში! ასე როგორ შეიძლება...

სელიმენა — მოვრჩით ეს უაზრო კამათი! სიმართლე გითხრათ, ცოტა დავიღალე. გავიდეთ გარეთ, გავიარ-გამოვიაროთ. რაშია საქმე, თქვენ, ორნი სად მიიპარებით?

კლიტანდრი და პასტი — რას ამპობ, არსადაც არ მივდივართ.

აღცესტი — რამ შეგაშუოთა, სელიმენა? თუ წასვლა უნდათ, წავიდნენ. შენთვის რა მნიშვნელობა აქვს მაგათ წასვლა-არწასვლას? მე კი გაურთხილებ: სანამ ეგენი აქ არიან, აქედან ფეხის მომცვლელი არა ვარ!

პასტი — არც მე არ მეჩერება არსად. დღეს ჩიტივით თავისუფალი ვარ და სანამ სელიმენა არ გამაგდებს, აქ ვიქნები.

კლიტანდრი — თქვენ აქ მეგულებოდეთ და მე სადმე წავიდე? როგორ გეკადრებათ!

სელიმენა — დარჩით მერე, ვინ გიშლით!

აღცესტი — კი, ბატონო, ნება თქვენია! როგორც გატყობთ, გინდათ გამისტუმროთ და მერე ბურთი და მოედანი თქვენ დაგრჩეთ! მაგრამ, ვერ მოგართვით! აბა, ვნახოთ, ვინ ვის გაისტუმრებს!

სტენა V — პასტი, აღცესტი, სელიმენა, ელიანტა, აკასტი, ფილიონი, კლიტანდრი

პასტი — ალცესტი, ვიღაცა კაცი გეითხულობს. ამპობს, ძალიან სასწაულო საქმე მაქვსო.

სელიმენა — გადი, გაარკვიე რაშია საქმე. თუ გინდა, აქ შემოიყვანე.

აღცესტი — ვინა ხართ და რა გნებავთ?

სტენა VI — ჯარისპატი, აღცესტი, სელიმენა, ელიანტა, აკასტი, ფილიონი, კლიტანდრი.

ჯარისპატი — ორიოდე სიტყვა მაქვს თქვენთვის სათქმელი.

აღცესტი — არაფერი არ მესმის. არ შეგიძლიათ ცოტა ხმამაღლა ილაპარაკოთ?

ჭარისპერი — სასამართლოდან გამოშაგზავნეს თქვენს წასაყვანად/
 ალცესტი — მე? სასამართლოში?

ჭარისპერი — დიახ, თქვენ.

ალცესტი — იქ ჩაღა დამრჩენია?

ცილინტი — შენი და ორონტის საქმეზე გიბარებენ.

სელიმენა — რა საქმეზე, მე რომ არაფერი ვიცი?

ცილინტი — რა და იმ დღეს ეს და ორონტი წალაპარაკდნენ. ალცესტმა ლექსი დაუწუნა და ახლა, აბბათ, უნდა შეარიგონ.

ალცესტი — ჩემს სიტყვებს უკან არ წავილებ. ტყუილუბრალოდ არავის ქება არ მჩვევია.

ცილინტი — ახლა შენს ჩვევებზე არ არის ლაპარაკი. რომ გიბარებენ, უნდა წახვიდე. წადი, რაღას უყურებ!

ალცესტი — აბა, ერთი გამაგებინე, როგორ უნდა მოვრიგდოთ მე და ორონტი? ვინ დამაძალებს გინდა თუ არა მოიწონე მისი უბადრუები ლექსებით? არავითარ შემთხვევაში ჩემს სიტყვებს არ გადავთქვამ. რა ვქნა, რაც არ მომწონს, არ მომწონს.

ცილინტი — ხომ შეიძლება, ცოტა ლმობიერი იყო...

ალცესტი — ლმობიერება აქ არაფერ შუაშია, ვინ უხვეწებოდა ცუდი ლექსები დაწერეო.

ცილინტი — არც მთლად ეგრეა საქმე. მე, მაგალითად, ვფიქრობ, რომ ის ლექსი არც ისე ცუდი იყო.

ალცესტი — შენი საქმისა შენ იცი. მაგრამ მე, გინდაც მომჟღან, იმ სისულელებზე კარგს ვერავინ მათემევინებს. წავალ ერთი იმ მომრიგებელ სასამართლოში თუ სადღაც ჭანდაბაში, მაგრამ ეიდევ ერთხელ ვიმეორებ: ამ საქმიდან არც ორონტს და არც იმ მოსამართლეებს არაფერი გამოუვათ.

ცილინტი — წამო, წამო და იქ გაირცვევა, ვის რა გამოუვა!

ალცესტი — რახან ასე აუცილებელია ჩემი წასვლა, წავალ და მოსამართლეების წინაშე ვიტყვი, რომ ასეთი ლექსების დამწერი ჩამოსახრჩობია!

[მიმართავს კლიტანდრს და აკასტს, რომლებიც იცინიან].

ისე, სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ ასეთ სასაცილო სიტუაციაში ალმოვჩნდებოდი! მონონების დაძალება აღარ გამიგონია!

სელიმენა — წადი, ცესს წუდარ ითრევ, დრო აღარ ითმენს!

ალცესტი — მივდივარ, მაგრამ მალევე დავპირუნდები. წელან ისე საინტერესოდ ვსაუბრობდით, რომ ასე ადვილად თავს ვერ დაგანებებთ. თანაც, თქვენც ხომ გაინტერესებთ, როგორ გადაწყდება ორონტისა და მისი ლექსების ბედი!

ვესახე მოძალება

სუენა! — ალიტანდრი, აკასტი.

ალიტანდრი — აკასტ, ერთი ჩაღაც უნდა გეითხო და, თუ ძმა ხარ, არ გეწყინოს: კაცო, სულ ასეთი მხიარული და კმაყოფილი რომ ხარ, წუთუ ასე კარგად გაქვს ცხოვრებაში ყველაფერი აწყობილი? წუთუ სადარდებელი არაფერი გაქვს?

პპსტი — შენ რა, სერიოზულად მეტითხები? მე და დარდი? რა მაქვს, კაცო, სატირალი და სავიშვიშო? ხალხი მე შემომნატრის და მე კიდევ ცხვირი ჩამოუშვე და ნუწუნი დავიწყო? აბა, ყური დამიგდე და შეირწყო გამამტყუნე: ფული მაქვს? — მაქვს ახალგაზრდა ვარ? — ვარ! ოჯახი-შვილობით სხვაზე მეტი თუ არა, ნაკლები ნამდვილად არა ვარ, ვაჟაცობით და კაი ბიჭობით არავის არ ჩამოუვარდები, ცხოვრებაში ავისა და კარგის გარჩევა შემიძლია, ჩემი ნაცნობობით ხალხი აზაყობს, არც ერთი სანახაობა უჩიმოდ არ ჩივლის, თუ სადმე ერთი-ორი კაცი შეიყრება და სუფრა გაიშლება, სათამაბი ვარ გამოტიმული; ისე, ჩენში დარჩეს და, გარეგნულადაც არა მიშავს რა, ყოველ შემთხვევაში, რომელი ქალისთვი-საც თვალი დამიდგამს, უარი არავის უთქვამს. ახლა მითხარი, მქონია თუ არა სამხიარულოდ საქმე?

პლიტანდრი — ვერაფერს გატყვი, ბედნიერი კაცი ყოფილხარ. მაგრამ ერთი კი გამკვირვებია: თუ ქალები ბუზებივით გეხვევიან და რომელსაც ხელს დაადებ, ყველა შენია, აქ რაღას უზიხარ და სელიმანას წყალობას ელოდები?

პპსტი — რაო, წყალობაო? რა მჭირს სახვეწარი და სამათხოურო? სელიმენა კი არა, ციდან ჩამოქრენლი ანგელოზი რომ იყოს, იმას არ დაუწყებ უკან დევნას და მუდარას. მე იმ კაცების რიცხვს არ მივეკუთვნები, ქალები რომ ხელს ჰკრავენ, ისინი კი მაინც უკან დასდევენ, უეხვეშ უვარდებინა და ცრემლმორეულები სიყვარულს სთხოვენ. აბა, ერთი, შენ თვითონ დაფიქრდი და მითხარი: განა რომელიმე ქალი ლირს ამდენ წვალებად და დავიდარბად? თუმცა, ყველამ თავის თავს თვითონ მიხედოს, მე კი პირდაპირ გუაპნები: მე რომ აქ ზედმეტად ვგრძნობდე თავს, ფეხსაც არ მოვდგამდი. არც ისეთი მიამიტი არა ხარ, რომ ვერ მიხვდე, რასაც კამბობ.

პლიტანდრი — მაშ, შენი აზრით, სელიმენა დარდით მოკვდება, ყოველდღე რომ არ მოხვიდე?

პპსტი — აბა, რა გვონია! იმასაც უნდა, რომ აქ ვიყვე, თორემ ქალი კი არ გაწყვიტილა ამ ქვეყანაზე!

პლიტანდრი — გირჩევ, ეგ უაზრო ფიქრები თავიდან ამოიგდო. მე მგონი, თაქს იტყუებ და თვალს იბრმავებ.

პპსტი — ჰო, კაი ბატონო, ეგრე იყოს, რახან შენ გინდა.

პლიტანდრი — არა, მე არაფერი არ მინდა, მაგრამ რატომ ხარ ეგრე თავდაჯერებული, მიკვირს.

პპსტი — რაღა გიკვირს, მითხარი თავს იტყუებო და დაგეთანხმე, მეტი რაღა კვნა!

პლიტანდრი — მორჩი ახლა ხუმრობას! მე სერიოზულად გვეითხები, სელიმენასაც რამეს ამჩნევ?

პპსტი — რას უნდა ვამჩნევდე, კაცო? თვალებდაბრმავებულმა კაცმა რა უნდა შეგამჩნიოს!

პლიტანდრი — ოო, ისეი თავისას გაიძახის! მითხარი ბოლოსდაბოლოს, სელიმენა გითანაგრძნობს თუ არა?

პპსტი — გამანებე თავი, რას გადამეტედე! გითხარი, თავს ვიტყუებ-მეთქი, მორჩი და გათავდა!

პლიტანდრი — არა, არა, თუ გიყვარდე, მითხარი, სელიმენაც გამოგიტყდა სიყვარულში?

პპსტი — არა, რას ამბობ, სიყვარულში გამოშიტყდა კი არა, სულ კუდით ქვა მასროლინა!

კლიტანდრი — გეყო ხუმრობა, რა მოგივიდა, წესიერად პასუხის გა—
ცემა არ შევიძლია?

პაპასტი — ამაზე წესიერი პასუხი როგორლა გაგცე! მე სელიმენას
სიყვარულით ვკვდები, ის კი ზედაც არ მიყურებს. ვერ მატყობ, რა უბე-
დური ვარ?

კლიტანდრი — კაი, კაი, ხომ ვიცინეთ და ვიმხიარულეთ. კაცი არა
ხარ, შემიძრალე, რამდენს მახვენინებ! მითხარი, სელიმენა იმედს გაძ-
ლევს?

პაპასტი — რა იმედი, რის იმედი! ვერა მხედავ, რა უბედური და სა-
ცოდავი ვარი! მე ლამის არის საძმე ხეზე ჩამოვეკიდო, ეს კიდევ დამდგარა
და ხუმრობი! სახუმაროდ და სამაიმუნოდ მაქვს საქმე?

კლიტანდრი — ნება შენია, თუ არ გინდა, ნუ იტყვი. მაგრამ ჩვენი
შეთანხმება ხომ არ დაგავიწყდა? ხომ გახსოვს, ერთმანეთს შევპირდით,
რომ თუ ერთი ჩვენთაგანი სელიმენას რჩეული გახდებოდა, მეორე აუცი-
ლებლად თავს გაანებებდა. ასე არ იყო? ხომ არ ვკდები?

პაპასტი — ომ, ის ეს უკვე სხვა ლაპარაკია! რა თქმა უნდა, ყველაფე-
რი მშვენივრად მახსოვს. დიახ, დიახ, მახსოვს და მე ის კაცი არა ვარ,
პირობა დავივიწყო. თუმცა, მოიცა, ყური უგდე, რა ხდება!

სცენა II — სელიმენა, პაპასტი, კლიტანდრი.

სელიმენა — თქვენ ისევ აქა ხართ?

კლიტანდრი — სიყვარულმა ისე მიგვაჯაჭვა აქაურობას, რომ ფეხს
ვიღარ ვიცვლით.

სელიმენა — გარედან რაღაც ხმაური შემომესმა. ხომ არ იცით ვინ
მოვიდა?

კლიტანდრი — არა, ჩვენ არავინ დაგვინახია.

სცენა III — ბასპი, სელიმენა, პაპასტი, კლიტანდრი.

ბასპი — არსინოე მოვიდა.

სელიმენა — ნეტავ მაგას რაღა უნდა!

ბასპი — აგერ, ელიანტა მოუძღვება,

სელიმენა — ეგ აქ ტყუილად არ მოვიდოდა. ერთი გამაგებინა გულ-
ში რა უდევს!

პაპასტი — მე როგორც ვიცი, არსინოე მეტად ნინდახედული და უკა-
რება ქალია.

სელიმენა — ქალს თუ არავინ მიკეპება, უკარება იქნება, აბა რა!
მაგასაც, მე შენ გეტყვი და, კალთებს აგლიჯავს ვინმე! ნინდახედულებას
რალას ეძახი? იქნებ იმას, სათონების ნილაბი რომ აუფარებია და იქიდან
შურიან თვალს არ აცილებს შეყვარებულებს? პერნდეს ის თავისი პატი-
ოსნება, ირსად დაეკარგოს! ჩემი აზრით კი, ერთი სიმარტოვისაგან გაბო-
როტებული ქალია და მეტი არაფერი. დამდგარა და ყველას ჭიუას არი-
გებს. თუმცა, მეტი რა საქმე აქვს? მაგასაც კაცები სახლის კარებს უმტკ-
რევენ, რა! ისე, არც მთლად ეგრეა საქმე, როგორც თქვენ გჯონიათ —
ერთი კაცი მაგასაც ჩავარდნია გულში. მერე არ იკითხავთ ვინ? ვინ და
ალცესტი! დიახ, ეს ჩვენი ბრძენი ალცესტი! ეს კიდევ არაფერი, უარესს
გეტყვით: ჩემზე ეჭვიანობს. ამაზე მეტი სისულელე გაგიგიათ?



სელიმენა — რა ქარმა გადმოგაგდო, აქეთ, ჩემო არსინოე? სემიართობაში უ გითხრა, შენი დანახვა ძალიან გამიხარდა. თუმცა კი არ ვიცი, როს შეს ვაწერო ეს მოულოდნელი სტუმრობა.

არსინოე — დიდი ხანია შენთვის რაღაცის თქმა მინდა და როგორც იქნა გადავწყიტე მოვსულიყავი.

სელიმენა — ღმერთო ჩემი! რომ იცოდე, როგორ გამაპედნიერე შენი მოსვლით!

არსინოე — კარგია, რომ მარტო დაურჩით. სხვისი თანდასწრებით მომერიდებოდა ლაპარაკი.

სელიმენა — ძალიან კარგი, მაგრამ ჯერ იქნებ დამსხდარიყავით. აი, აქ დავექი. ახლა კი მითხარი რაზე შეწუხებულხარ.

არსინოე — სელიმენა, ჩემზე უკეთ მოგეხსენება, რომ ადამიანს თანამგრძნობი და მეგობარი გაჭირვებაში ესაჭიროება. ხომ ხედები, რომელ გაჭირვებაზეც გელაპარაკები? ქალს იმაზე მეტი რაღა უნდა შეემთხვეს, როცა მისი პატიოსნება ეჭვის ქვეშ დადგება! მე, როგორც შენს მეგობარს, გული შემტკიცა შენზე და ჩემთვის სულერთი არ არის, ხალხი რა აზრისაა ჩემს მეგობარზე. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, მოკლედ გეტყვი: ამას ნინათ ერთ ოჯახში ვიყავი. იქ ჩევნს ბევრ საერთო ნაცნობს მოყეარა თავი. არა, არა, სახელებს ნუ იკითხავ. მხოლოდ ერთს გეტყვი: ისინი ყველანი ღირსეული ადამიანები არიან. ხან მთისა ვთქვით, ხან ბარისა და უცებ ვიღიამ შენი სახელი ახსნა. მოგეხსენება, ენას ძვალი არა აქვს, მაგრამ რაც მე იქ მოვისმინე, ნეტავი არ გამეგონა! არც კი მინდა იმ სიტყვების გამეორება, მაგრამ რომ არ გათხრა, არც ეგ არ შემიძლია! ვერაფერს იტყვი: შენი სახელი შორს გავარდნილა! თანაც სახელსაც ხომ გააჩინა! იმ სიტყვებს თუ დავუჯერებთ, ხალხში თავი აღარ გამოგეყოფა. ისე კი, რომ იცოდე, შენი სახელის გატეხვა სულ იმ ვაჟბატონების ბრალია, დღე და ღამე აქ რომ გისხედან და ქალაქის ჭორიკებს სალაპარაკოს არ ულევენ. ეგენი ვინ არიან და რას ნარმოადგენენ, ყველას კარგად მოეხსენება. ხალხს, ხომ იცი, არაფერი გამოეპარება. ხომ ნარმოგიდგენია, მე რა დღეში ჩავარდებოდი: ვნატრობდი, ღმერთო, დამაყრუე, რომ ველარ გავიგონო როგორ ლანძლავენ ჩემს სელიმენას-მეთქი! რაც იქ ითქვა, ყველაფერი რომ მართალი იყოს, ღმერთმა დაგიფარის, მაგრამ ხალხის ამბავი ხომ იცი? ერთ უმნიშვნელო ამბავს ისე გააზიადებენ, სიცოცხლეს შეგაძულებენ. ერთი-ორჯერ კი დავაპირე გამოქმნაგება, მაგრამ იქ ისეთი რაღაცებიც გავიგონები, რაშიც პირველ რიგში მე გაგამტყუნებ. გულაბდილად ვეტყვი: შენი ცხოვრების წესი მთლად მოსაწონი არ არის. მართალია, ისე ვერ მოიქცევი, რომ ყველას თავი მოაწონო, მაგრამ არც ისე უნდა მოიქცე, რომ ყველა აალაპარაკო. მე იმათ აზრს არ ვიზიარებ და შენც ჭკვიან ქალად მიმაჩინიხარ. იმედია, ჩემს მეგობრულ რჩევას თუ გაფრთხილებას საწყენად არ მიიღებ და იმ მოცლილებსაც დაუმტკიცებ, რომ სელიმენა მაგათი ავადსახსენებელი ქალი არ არის.

სელიმენა — მაღლობის მეტი რა მეთქმის, ჩემო ძვირფასო. მართალი რომ გითხრა, არ მეგონა თუ ასე შეგტკიოდა გული ჩემზე. ძალიან კი გამოგიდვია თავი ჩემს დასაცავად. თუმცა, რა მიკვირს, შენი ამბავი რომ

ვიცი, სხვანაირად არც მოიქცეოდი. ბოლოს და ბოლოს, მეგოპრები ვართ, მშრები ხომ არა. მაგრამ უნდა გითხრა, რომ მეც ისევე ვუფრთხილუები შენს სახელს, როგორც შენ ჩემსას. ამას წინააც ერთ ადგილას მომინია უკაცის მოყვარეობისა. არც იქ იყო იმდღევანდელ შენს მასპინძლებზე ნაკლები ხალხი თავ-მოყრილი. თუ გინდა გეტყვი ვინ იყვნენ. არ გინდა? კი, ბატონი, შენი ნე-ბაა, პოდა, ცსხედვართ, ვსაუბრობთ, აქეთ მოვედეთ, იქით მივედეთ და უცებ ვიღაცამ შენ გახსენა. ყურები დაცული იტენი, არსინოეს ქება-დიდებით გული გავიხალისო-მეტეი, მაგრამ, ვაი, შენს სელიმენას! ნეტა კი მიწა გამსკდომოდა! რომ მოხსნეს პირი და დაიწყეს, ხომ აღარ გაათავეს. ესაო, ისაო, ნეტა რა გული გაგვიწყალა თავისი ჭუუის სწავლებითაო, მაგის პა-ტიოსნებას რა თავში ვიხსინოთ ან მაგას რაში გამოადგაო, მაგის შიშით თავისულად ვეღარ დაგვილაპარაკიაო, ყველას სიტყვას თუ საქციელს ათასნაირ კუდს აბამსო, ზემოდან დაგვცერის თითქოს დიდი ვინმე იყო-სო, ბოლოს და ბოლოს, ვინ ჰერინია თავის თავიო. აბა, რა ხასიათზე დავ-დგებოდი ყველაფერი ამის გამგონე! ის იყო პირი გავალე და გავიიჯირე, ერთ-ორ კეთილ სიტყვას შევანევ ჩემს მეგობარს-მეტეი, მაგრამ ვინ ამო-გალებინა ხმა? თურმე, ნუ იტყვი და რაც აქამდე ილაპარაკეს, ეგ მხოლოდ შესავალი ყოფილა! მერე დაიწყეს თუ დაიწყეს! არა, ვერ მოვისვენებ, რომ არ გითხრა: ისე რომ უჭირავს თავი, თითქოს ჭიანჭველას ფეხს არ ადგამს, მაგრამ ხომ არ ჰერინია, არავინ იცის სახლში რა ალქაჯი და კუდიანიაო. თურმე ძუნიც ხარ, თვალთმაციც, ეშმაკიც და რა ვიცი კიდევ, ათასი ჯანდაბა და დოზანა. პო, კიდევ იცი რა თქვეს? ოლონდ არ გაბრაზდე: ეს ჩემი არსინო შავ დღეს რომ აყრის ქალებს ოდნავ გადამეტებული დე-კოლტესათვის, თვითონ სახლში ჩუმ-ჩუმად ტიტველი კაცების სურათებს ათვალიერებსო. ეს კი უკვე ვეღარ მოვითმინე და ვეცი იმ ჭორიკანებს. მაგრამ ვერაფერს გავხდი. ესე მითხრეს, გადაეცი იმ შენს მეგობარს, რომ ურჩევნია თავის თავს მიხედოსო, მაგისოვისაც უკეთესი იქნება და ჩვენც მოვისვენებოთო. ისე კი, იცოდე, საწყენად არაფერი მითქვამს. გონიერი ქალი ხარ და შენ უკეთ გეცოდინება რა არის ჩემს ნალაპარაკევში ტყუ-ილი და მართალი.

პრსიტო — მე კარგი მინდოდა შენთვის, მაგრამ, როგორც სჩანს, შევცდი. შენი პასუხიდან ადვილი მისახვედრია, როგორ გეტყინა გული. რაც გითხარი, სხვების ნათქვამია, ჩემი კი არა. მე, უბრალოდ, მინდოდა გამეფრთხილუებინე.

სელიმენ — არა, არა, ჩემო კარგო, წყენა რა შუაშია! სულაც არ მაინტერესებს სხვები რას ფიქრობენ ჩემზე. მე, უბრალოდ, იმის თქმა მინ-დოდა, რომ როცა ადამიანი სხვის ლანძლვას დაიწყებ, ჯერ საკუთარ სულ-ში უნდა ჩაიხედო, იქნებ შენ მასზე უარესი ხარ. ან რა საჭირო იყო ენა რომ მომიტანე, რა გეგონა, გული გამისკდობდა, სირცხვილისაგან და-ვინვებოდი თუ მონასტერში აღვიკვეცებოდი?! მეტი საქმე არა მაქვს! ყველამ თავის თავს მიხედოს! არავის ჭუუის დარიგება არ მჭირდება! და, მე მგონი, არც შენ! პოდა, მოვრჩეთ ამ უაზრო ლაპარაკეს! ენის მიტან-მოტანა რა ჩვენი საკადრისია! ამაზე იმათ იმტკრიონ თავი, ვისაც მეტი გასართობი არა აქვს!

პრსიტო — შენ როგორლა გაგიბედავ რამის თქმას! ერთხელ გითხა-რი და კაი პასუხიც მივიღე. აი, შენ თუ რაიმეს გაიგებ ჩემზე...

სელიმენ — მოვრჩეთ-მეტეი, გითხარი! რა უნდა გავიგო, რა; მე ჭევის ლაპარაკეს ყურს არ ვუგდებ. თავში ქვა უხლიათ, რაც უნდათ, ის



უთქვიათ. ისე კი, ადამიანი თუ მოინდომებს, ამქვეყნად ყველას და ყველაფერს გალანძლავს. მაგაზე ადვილი რა არის?! მაგრამ მეორე წერტილი მოიტომ, რომ ახლა ეგრე სჭირდება, ან სულაც მიმოტომ, რომ ახლა ეგეთ ხასიათშეა. რას იზამ, კაცია და გუნება, რაღაცა მოგწონს, რაღაცა არ მოგწონს. როგორც იტყვიონ, გემოვნებაზე არ დაობენ. შეიძლება, როცა დავძერდები და ივ გადამწიფებულ დედაკაცებს მივუჯდები გვერდზე, მე იმათზე უარესი გავხდე. მაგრამ ჯერ ხომ ახალგაზრდა ვარ და დამაცადეთ რა, ცხოვრება!

პრსიტოვი — არა, არა, სელიმენა, ვერ დაგეთანხმები! აქაოდა, ახალგაზრდა ვარო, ყველაფერი კი არ გეპატიება! თუ ასაკის გარდა სხვა არაფერი გაქვს თავმოსაწონებელი, კარგად გქონია საქმე! მაინც ვერ გავიგე, ასე რატომ გეწყინია ჩემი სიტყვები!

სელიმენა — მე კიდევ ის ვერ გამიგია, ჩემი ჭკუს დარიგება ვინ გთხოვა ან ვინ დაგავალა! რომ დამდგარხარ საქვეყნოდ და ჩემი სახელი გაგაქვს და გამოგაქვს, ვინა ხარ და ვის დაპერარგვიხარ? ჩემი ბრალია, არც ერთი კაცი ზედ რომ არ გიყურება, მე კიდევ ალარ ვიცი სად დავემალო ამ აპეზარ თაყვანის მცემლებს, მითხარი, ჩემი ბრალია? თუ ეგრე ძალიან გშურს, შენთვის დამითმია ყველა, ზედ თუ შემოგხედა ვინმემ! კიდევ ერთხელ ვიმეორებს: მე შენს საქმეებში არ ვერევი და ნურც შენ ნუ ჩაერევი! შენ შენთვის, მე ჩემთვის!

პრსიტოვი — ეჭ, როგორ სცდები, ჩემო სელიმენა! ეგ რაშ გაღიქრებინა, რომ მე შენი თაყვანის მცემლები მშურს? თუ ქალმა მოინდომა, კაცის შებმას რა უნდა! ახლა არ მითხრა, ჩემი ლირსებები იზიდავს ამ კაცებს და იმიტომ მისხედან დღე და ღამე სახლშიო! ლამაზი თვალებით დღის გელარავის გაავირვებს! ის დრო წავიდა, ქალის ერთი შემოხედვის გულისთვის კაცი რომ კაცს ჰყლავდა. რისთვისაც დადიან ეგ კაცები აქ, ჩემზე უკით შენ მოგეხსენება. ამიტომაც ძალიან ნუ აგივარდება თავში ეგ შენი სასიყვარულო თავგადასავლები. მთავარი მონდომებაა, თორემ შენზე ნაკლები არავინ არ გეგონოს. ისე კი, იცოდე, არავითარი სურვილი არა მაქვს მაგ საქმეში გაგეჯიბრო.

სელიმენა — მაშ, შენც შეგძლებია კაცების გამოჭერა და ჩემი რაღა ვიკირს? მერე, მიდი, ვინ გიშლის, რაც გინდა ის გააკეთე, მე კი თავი გამანებე!

პრსიტოვი — კარგი, კარგი, მოვრჩით ამაზე ლაპარაკს, თორემ ჩენ თუ ასე გავაგრძელეთ, შორს წავალთ. სიტყვამ მოიტანა, თორემ ამდენის თქმას არც ვაპირებდი. ახლა კი, თავს ალარ შეგაწყენ და დაგტოვებ.

სელიმენა — თუ გინდა, დარჩი, კი არ გაგდებ. ახლა ცოტა ხნით დაგტოვებ. არა, არა, მარტოს არ გტოვებ. აი, ალცესტი აქ არის და მე მგრინი, იმასთან ყოლნა უფრო გესიამოვნება, ვიდრე ჩემთან. დასხედით, იჭუაჭუკა; მე ერთ პატარა ნერილს დაწერ და მალე შემოგირთდებით. აბა, დროებით ალცესტ, არ მოაწყინო არსინო!

სცენა V — ალცესტი, პრსიტოვი.

პრსიტოვი — ძალიან გამიხარდა ალცესტ, შენი ნახვა. ისე კი, კაი ქნა სელიმენამ მარტონი რომ დაგტოვა. შენისთანა კაცთან საუბარი პირდაპირ სიამოვნებაა! ამაზე ვერც კი ვიოცნებებდი! შენი ყოველი სიტყვა ხომ

ბაჯაღლო ოქროა და ნეტავი მას, ვინც ყოველდღე გისმენს! ერთ რამეზე კი გული მწყდება და არ შემიძლია რომ არ გითხრა: შენნაირი ჭკვიანი და პატიოსანი კაცი ნუთუ სათანადოდ არ უნდა იყოს დაფასებული? შემიზე ნამდვილი ფასი, მე მგონი, ჩემშე უკეთ არავინ იცის და სულ ცეცხლი მე-კიდება, ჩრდილში რომ დგახარ.

ალცესტი — მაგას ჩემშე ამბობ? მე მგონი, ჩევულებრივი ადამიანი ვარ; განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია, ადამიანებს რომ დავაყვედ-რო და დაეგაძალო, გინდათ თუ არა, მაქეთ და მადიდეთ-მეთქი. არავისთან სამდურავი არ მეთქმის.

არსინო — შენ თავმდაბალი ადამიანი ხარ და იმიტომაც ლაპარა-კობ ასე. მაგრამ ეგ შენი სიტყვები უფრო გამალლებს და ღირსებას გმა-ტებს. ჩენი უბედურება ზუსტად ის არის, რომ ადამიანებს ისე ვერ ვე-ცვით, როგორც იმსახურებენ.

ალცესტი — არა, თუ ღმერთი გნამს, ნამეტანს ნუ მაქებ. ვითომ ისეთი რა დამსახურება მაქეს, რომ გამორჩეული ვიყო? რა ვალდებულია ეს ჩენი საზოგადოება ყველას ღირსება-ნაკლოვანებებში იქექოს?! სუ-ლაც არ არის საჭირო ვინმეს გამომერთება.

არსინო — ღმერთო ჩემო! ისევ შენს სიტყვაზე დგახარ! ნამდვილ ღირსებას რა ქექვა და ჩხრევა უნდა? ადამიანები აღრე თუ გვიან მაინც ხვდებიან ვინ ვინ არის. აი, შენზე ბევრი კარგი სიტყვა გამიგია. თან ხომ გააჩნია ვინ შეგაქებს! ისეთი ხალხია შენით ალფროვანებული, ვისაც სი-ტყვაც ეთქმის და დაეჯვერება კიდეც.

ალცესტი — ეჲ, ჩემო კარგო! განა დღეს ვინმეს დაეჯვერება? ადამი-ანები ისეთი მატყუარები და უსინდისოები გახდნენ, რომ როცა დასჭირ-დებათ, გაგლანდავენ და როცა დასჭირდებათ, შეგაქებენ. არც ერთია გა-საკირი და არც მეორე. ქებაში თავმოსაწონებელი უკვე აღარაფერია. ზოგჯერ ისე ვიგინდარას ამოგიყენებენ გვერდზე, რომ სიცოცხლე აღარ მოგინდება. განა მართალს არ ვამბობ?

არსინო — შენნაირი კაცი ყოველთვის ჭეშმარიტებას ღალადებს. მაგრამ ერთი კი მაინც უნდა გითხრა: პატიოსან კაცს ხანდახან ცოტა ხე-ლის წაკვრაც სჭირდება, ხალხში გამოყვანა, თორემ შენ თუ დაიმალე, ეგ რაღა გამოვა?! დარჩენიათ ეს ქვეყანა ვიღაც თხრებსა და გაიძვერებს და ეგ არის! მე კი არ მინდა, რომ დაიჩაგრო. მერწმუნე, ყველაფერს გავა-კეთებ იმისათვის, რომ გზა გაგიკვალო მაღალ საზოგადოებაში. ხომ იცი, სიტყვა მეთქმის გავლენიან ხალხში.

ალცესტი — არა, ჩემო არსინოე, ტყუილად შეინუხებ თავს. აბა, მე იმათათონ რა საერთო მაქეს? სად შემიძლია ვიღაცის ნინაშე ვიმარჭო და ვიგრიხო მხოლოდ იმისათვის, რომ რაღაც წყალობა გადმომიგდონ! ჩემი ერთადერთი დადებითი თვისება გულწრფელობა და სიმართლისმოყვარე-ობაა, შენ კი კარგად მოგეხსენება, რომ ჩემი სიმართლე იმ ვაჟბატონებს სულაც არ სჭირდებათ. არც იმათი ჩინ-მედლები მჭირდება და ვერც მა-გათ დაერულზე ვერ ვიცევებ. იმათ ვინც გაუტოლდება, იმათანაირი უნდა იყოს, უნიჭი ლექსები უნდა შეუქოს, კახპა დედაკაცები კომპლიმენტი-ბით უნდა გააპროოს, ვისაც რა ესიამოვნება, ის უნდა უთხრას. არა, არა, ღმერთმა დამიუაროს მაგათი წყალობისაგან! რაც არ შემიძლია, არ შე-მიძლია!



არსინოე — კარგი, ნება შენია! ისე კი, მართალი ხარ, ის ხალხი შე-
ნი ფრჩხილის ფასიც კი არ არის. ქალის ჭუას რა ვუთხარი! ეგ მეტად და
თონ ვერ უნდა მომეფიქრებინა?! მაშ, სხვა რამეზე ვიღაპარაკოთ. პირდა-
პირ გეტჰვი: შენ რომ ქალზე გიუდები და ორევი, შენი ლირსი არ არის.

ალცესტი — მერე ის ქალი რომ შენი მეგობარია?

არსინოე — მეგობარი? დიდი ამბავი! მეგობრობა და ძმაკაც-დაქა-
ლობა არ ვიცი მე! შენნაირი პატიოსანი კაცი რომ იტანჯება, ეგ არაფე-
რია; და მერე ვისთვის? ლირდეს მაინც! შენნაირი იმას ათასი ჰყავს!

ალცესტი — რას ამბობ? ნუთუ ვერ ხედები, რატომ იქცევა ასე სე-
ლიმენა? უნდა, რომ გამაპრაზოს, გამეპრანჭოს, მაეჭვიანოს და უფრო
შემაყვაროს თავი.

არსინოე — ეჲ, როგორ დაუბრმავებიხარ სიყვარულს! რა ვიცი, დღე
და ღამე სიმართლეს ქადაგებ და ახლა ტყუილ-მართალი ველარ გამირ-
ჩევია? სელიმენა კი არის ჩემი მეგობარი, მაგრამ შენი ლირსი არ არის!
ნეტა იცოდე, როგორ დაგცინის სხვებთან!

ალცესტი — შეიძლება ასეც არის. მერე რა! კაცი ქალის გულისნა-
დებს ვერასოდეს ვერ გაიგებს. მაგრამ, ერთი კი ვერ გამიგია: შენ რატომ
ნერვიულობ ჩემი გულისთვის? რა განუხებს? შენთვის რა მნიშვნელობა
აქვს მე ვინ შეყვარება? რად გინდა, რომ ეჭვითა და ბოლმით ამიცსო გუ-
ლი?

არსინოე — მე რა უნდა მინდოდეს? მე იმაზე მეწვება გული, რომ
სხვებმა არ დაგცინონ და შენი გულუბრყვილობა სამასხარაოდ არ გახა-
დონ. მაგრამ, გატყობ, ჩემი სიტყვები არ გსიამოვნებს. მეტის ლირსი ვარ,
ნეტა რა მალაპარაკებს!

ალცესტი — იცი, რომ ეჭვიანობაშ კაცს შეიძლება ათასი საშინელება
ჩაადგინონ? არავის კარნაზი და ჭუას სწავლება არ მჭირდება. რაც და-
სანაზია, იმას მე თვითონაც კარგად დავინახავ. მადლობა ლმერთს, მაგ
საქმეში მაინც არ მჭირდება სხვისი დახმარება. ჯერ ისე არ გამოვჩერჩე-
ტებულვარ, რომ თეთრი შევისაგან ველარ გავარჩიო!

არსინოე — როგორც ვატყობ, ისე გამოუჭერიხარ სელიმენას, რომ
ვერავინ ვერაფერს შეგანებინებს. ზუსტად შენზეა ნათქვამი „შეაყარე
ტედელს ცერცვიონ“. მაშ, არა გჯერა, არა? მაშ, სელიმენა ერთი ცელქი და
უცოდველი კუდრაჭა, არა? მაშ, ფაქტები გჭირდება, არა? შენ ცოტა მა-
ცალე და ისეთი ფაქტების წინაშე დაგაყენებ, იქნებ სულ თავ-ბედი გაწყვე-
ლინო! მაგრამ, ერთი კი იცოდე: სელიმენასაგან ხელნაკრავს სხვა ქალი
გამოგინდის ხელს და ეს ქალი შენს სელიმენაზე ნაკლები არაფრით არ
არის!

მეოთხე მოძრავება

სცენა I — ალცესტა, ფილიმი.

ფილიმი — არა, გენაცვალე, ჩემს სიცოცხლეში მსგავსი ადამიანის
ჩინახვილი არა ვარ! ეს რა ვწახე და რა გავიგონე! რა დღეში ჩაყარა ეს
საწყალი მომრიგებლები! ხან საიდან მოუარეს და ხან საიდან! ხან დაე-
მიძრნენ თა ხან შეაცოდეს ის უბედური ორონტი, მაგრამ საქმეში ხარ?!
რომ დაიჩინა ერთი და ერთი, არაფრით აღარ გადათქვა. ერთი იქ უნდა

ყოფილიყავით და ზაჟუთარი ყურით მოგესმინათ! მე შენ გეტყვი და სი-
ტყვა შეეშლებოდა! „არაო, — უხრა მოსამართლებს, — ჩემს სიტყვის
უკან როგორ წაიღებო, ეგრე წამდაუწემ რომ ვიცვლიდე აზრებს აუდი-
ონტს რაღა უჭირდა და ან მე რად გავიხდიდი საძავიდარაბოდ საქმესო,
თქვენც იქნებოდით თქვენთვის პატიოსნად მოსვენებულიო. აბა, ერთი
თქვენ წაიკითხეთ ის ლექსები და მერე ვნახოთ, როგორ გამამტყუნებოთ.
მე პირადად ორონტს როდი მიგაეყნე შეურაცხყოფაო, უბრალოდ, მკითხა
რა აზრისა ვიყავი მაგის ლექსებზე და მეც, სხვებისაგან განსხვავებით,
პირდაპირ ვუთხარი სიმართლეო. აბა, რა უნდა მექნაო. მე მაგას კაცობას
და კაი ბიჭობას კი არ ვუწუნებ, არამედ ვურჩევ ცუდი ლექსების წერით
თავი არ შეირცხვინოსო. აბა, რა არის ამაში ცუდიო, სანამ დროა მაგ საქ-
მეს შეეშვას და თავის გზას ეწიოსო. არა, განა ვინმე სიკვდილით დასჯის
ცუდი ლექსების გამო, მაგრამ არც კარგ პოეტობას დააპრალებენო“. მე-
რე ორონტს მიუბრუნდა და უთხრა: „არ გეწყინოს, რა ვქნა, შენ რომ ცუდ
ლექსებს წერ, ჩემი ბრალი არ არისო, მაგრამ თუ კარგს დანერ, იცოდე,
შენს ქება-დიდებას ვერავინ დამასწრებესო“. აი, ასე დატოვა ყველანი პირ-
დალებულები. რალას იზამდნენ? ჯარიმა კი გადაასდევნეს, მაგრამ აზრი
ვირ შეაცვლევინეს. აი, ასე დამთავრდა ეს ამბავი.

ელიანტი — გეთანძმები, მართლაც ცოტა უცწაური კაცია ეს ჩვენი
ალცესტი! მაგრამ მის საქციელში არის რაღაც განსაკუთრებული და გმი-
რული, რასაც, სამწუხაროდ, სხვებზე ვერ ვიტყვი. ჩვენს დროში სადღა
ნახავ ეგვი პატიოსან ადამიანს. ყველა რომ ასე იცცეოდეს, რაღა გვიჭირ-
და. შენი არ ვიცი და მე პირდაპირ მოხიბლული ვარ ალცესტი!

ცილინტი — მე, კიდევ, ჩაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მაკ-
ვირვებს მაგ კაცის ხასიათი და საქციელი. არა, სიმართლე და პატიოსნება
ძალიან კარგია, მაგრამ გადამეტებული არაფერი არ ვარგა. მერე და
უფასებს ვინმე ამ თავგანწირვას? უფასებს კი არა და, აგრე ორონტი
მოამდურა. ჯერ სადა ხარ, ორონტისნაირს კიდევ რამდენს გადაიკიდებს!
მაგრამ ყველაზე საოცარი ის არის, სელიმენამ რით მოაჯადოვა ეს ჩვენი
ალცესტი.

ელიანტი — რას იზამ, ჩემო ფილინტი, სიყვარულმა ტოლი და სწორი
არ იცის. აბა, გაიხედ-გამოიხედე ქვეყანაზე რა ხდება! ზოგჯერ ისეთ
წყვილს დაინახავ, გული შეგიღონდება! დაბალს მაღალი მოსწონებია, ლა-
მაზს — მახინჯი, ჭკვიანს — სულელი, მდიდარს — ლარიბი და რა ვიცი
კიდევ, რა ჩამოთვლის! სიყვარული რომ გონებას ეკითხებოდეს ჭკუას, რა-
ღა გვიჭირდა! გასწორდებოდა ეს ქვეყანა და ეგ იქნებოდა!

ცილინტი — მერე ეს ალცესტი რომ გაგიჟებულია, შენ როგორ ატ-
ყობ, სელიმენა რაღას ფიქრობს?

ელიანტი — ომ, მაგას ვინ გაიგებს! უცხო თვალი კი არა, ზოგჯერ
თვითონ შეევარებული ადამიანიც კი ცდება. რომ გგონია მიყვარს და
უიმისოდ ცხოვრება არ შემიძლია, აღმოჩნდება, რომ ერთ მშვენიერ
დღეს ეს შენი სიყვარული ისე გაგიფრინდება, თითქოს არც ყოფილაო.
მაგრამ პირიქითაც ხდება. აი, მაგალითად, ხარ შენთვის, აგრე არის მეო-
რე პიროვნებაც, ნლების განმავლობაში ერთმანეთს იცნობთ, ვითომც
არაფერი, ზედაც არ უყურებთ ერთმანეთს და უცებ, ერთ დღეს მიხვდები,
რომ სიცოცხლეში იმის გარდა არავინ გყვარებია.

ცილინტი — მე კი მგონია, რომ სელიმენას სიყვარული კარგს არა-
უერს მოუტანს ალცესტის. რამ დაუბრმავა თვალები! შენისთანა ქალი

ელიანტა — ეეჭ, ჩემო ფილინტა ისე ლაპარაკობ, თითქოს ჩემს გულის შენიშვნა
ში ზიხარ. ტყუილად თავს ვერ გამოვიდებ: მარტო ჩემზე რომ იყოს და-
მოკიდებული, ალცესტის გარდა არავის ვინატრებდი ჩემს გვერდით. ახლა
კი, რას ვიზამ, ბედი სხვანაირად სჯის, როგორც სჩანს. მაგრამ თუ ალ-
ცესტი სელიმენას გულს ვერ მოინადირებს, მზად ვარ ჩემი გული და
სული შევთავაზო.

ცილინტი — მეც, ჩემის მხრივ, შევეცდები ალცესტის შენი გულის-
ნადები გავაგებინო. ოღონდ ეგ სელიმენას მოეშეას და თავს არ დავზოგავე
მაგრამ, ნელან ხომ შეწ თევი და მეც გეთანხმები: ჩვენს მაგივრად ჩვენი
ბედი სჯის. ალცესტისნაირ ჯიუტს რამეს გადაათებევინებ? თუ მაინცდა-
მაინც თვალები დაიბრმავა და შენნაირი ანგელოზი ვერ დაინახა, მაგაზე
რუ ინალვლებ: თუ მიკალრებ, მე აქა ვარ!

ელიანტა — დამცირი, ფილინტ?

ცილინტი — არა გრცხვენია, რას ჰქვია დაგცინი?! დაგცინი კი არა,
ერთი სული მაქეს როდის გაგიმულავნებ საქვეყნოდ სიყვარულს! ცოტა
მაცალე, ჩემი ელიანტა და ჩვენი დროც მალე დადგება!

სცენა II — ალცესტი, ელიანტა, ცილინტი.

ალცესტი — ელიანტა, მიშველე, გამაგებინე რა ხდება! რა საშინე-
ლებაა, ხალხო, სიზმარში ვარ თუ ცნდში, ველარ გამიგია!

ელიანტა — რა იყო, ალცესტ, რაიმე უბედურება ხომ არ მოხდა?

ალცესტი — რომელი უბედურება შეედრება იმას, რაც მე მჭირს!
კაცი ჭიუაზე ალარა ვარ! ღმერთო ჩემი! ...ნუთუ ამის ღირსი ვიყავი...
გაიმე, ჩემი სიყვარულო... არა, არა, ლაპარაკიც კი ალარ შემიძლია!

ელიანტა — კარგი, დაწყიარდი, დამშვიდდი და წესიერად გაგვაგე-
ზინე რაშია საქმე. აბა, მაგ უაზო ყვირილითა და ხელების ქრევით რა გა-
ვიგო, როგორ გიშველო?

ალცესტი — მალალო ღმერთო! შენს ხელში არ იყო ყველაფერი?
ასეთი ანგელოზის გვერდით რა საჭირო იყო ზოგიერთი უნინდურის გა-
ნენა!

ელიანტა — ეს ისევ თავისას გაიძახის, ალარ იტყვი რა მოხდა?

ალცესტი — რაღა უნდა ვთქვა?! ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა,
შილალატეს, თავს ლაფი დამასხეს და ცოცხლად მინაში ჩამდეს! და მერე
იცით, ვინ? ვინ და სელიმენამ!

ელიანტა — რას ამბობი ვიღაცა რაღაც სისულელეს გეტყოდა და
შეწ დაიჯერე! არ გამიხეთქა გული!

ცილინტი — დაწყნარდი, ალცესტ, შენ ისეთი ეჭვიანი კაცი ხარ, ალ-
ბათ რაღაცა მოგეწვენა...

ალცესტი — შენს პირს შაქარი! ნეტავი მხოლოდ მოჩვენება იყოს და
მეტი არაფერი! მაგრამ ამ წერილს რა უყო, ჯიბდეში რომ მიღებს და გულ-
მუცელს მიწვავს! აპა, დატებით, იხილეთ სელიმენას ორპირობა! თან, მე-
რე არ იკითხავთ ვისში გამცვალა? ღმერთო, რატომ მაცოცხლე ამ დღემ-
ზე! ვისში და იმ გიშ-პოეტაში! დახას, ორონტი მამჯვაბინა სელიმენამ! მა-
გას როგორ მოვიფიქრებდი, რომ ეგ სულელი მეტოქეობას გამიბედავად!

ԱՊԼՈՆԻԿՈՒ — մոռուա, յապո, րաս լրջալցեծ! օյնեք արգ օլեա Տայիթ, ՀԱՅՈՅԱՆՈՒՄ ՀԱՅՈՅԱՆՈՒՄ
ՌՈՋՈՐԾ ՇԵՐ ցցոնուա! ածա, կողազ ըրտել նայուտեց այց Եղբայրու, ՀԱՅ-
ՌՈՋ Շոշ օլետո, ասք հռմ ցագառոցու!

ԱՊՈՎԵՍՏՈՒ — արա, արա, ցամանեցեց տացու! ներդա մաժոնաց ար նամեյքոտնչա, ՌՈՋԱ ՆԱՅՈՂՈՒՄ ՀԱՅ-
ՌՈՋԱ ՆԱՅՈՂՈՒՄ ՇԵՐ!

ԵԼՈՒԱՆԻՒ — գամշուալցո, ալպուստ, ասք ՌՈՋՈՐԾ Շեյօթլեծա, օյնեք ՏԱՅ
ԸՄՇՈՂՈԱ ԵՐՎՈՅՈՒՄՆ...

ԱՊՈՎԵՍՏՈՒ — արա, յալուանիւ, աթ Տայմես ալարացուրո շեցուալցեծա. աթլա
Շերնլա դամրիհո ըրտացըրտո նոցեշո գամ եղալս նու մյուրաց. մոռցո գա ըրտաց
Յոնոնոտ թշրո հիմես ցամիցցալ ՏԵԼՈՄԵՆԱՆՑԵ!

ԵԼՈՒԱՆԻՒ — մի զոնոտ թշրո ՏԵԼՈՄԵՆԱՆՑԵ? յո, մացրամ, ՌՈՋՈՐԾ?

ԱՊՈՎԵՍՏՈՒ — ՌՈՋՈՐԾ? նուտո պէր եցացեծո? Ուռլաց ցամոնմցացո! մո-
ռուա, յարուս տյմաս նու հիյարոծ! օլս մըպարուցո, ՌՈՋՈՐԾ յէր արց ըրտո
յալո ար կըպարուցուա գյեցամինանցու! ՏԵԼՈՄԵՆԱՆՑԵ ՀԱՅԱՆԱՏՎՈՒՍ Ռալա օյնեքա ամանց
գոնց ՏԱՅԱՀԵԼՈ!

ԵԼՈՒԱՆԻՒ — ալպուստ, մալուան մըպուցեծո ասք հռմ ար ցացոմարտլա
ՏԵԼՈՄԵՆԱՆՑԵ. արց օմաս դացոմալազ, հռմ թենու ՏԵԼՈՄԵՆԱՆՑԵ մըսուամոցնա. մաց-
րամ, եռմ ցացունուս: „ՏԵԼՈՄԵՆԱՆՑԵ ինչունի ՏԵԼՈՄԵՆԱՆՑԵ մարտալո ցըր-
նասուն“. այ, նախազ ՏԵԼՈՄԵՆԱՆՑԵ, յըրտ-ոռու կըունը ՏԵԼՈՄԵՆԱՆՑԵ գած-
րանինաց սանոնու ծովածուցու ցայրուցա. մըրու զոնմիթ հռմ ցացաեսենու Շենո
ՀԱՅԱՆԴԵԼՈ ՌՈԽԵՅԱ, ՏԵԼՈՄԵՆԱՆՑԵ արց յո ցըսուամոցնուս. ամութու, ար ցընչու-
նու գա, Շենս ԲՈՆԱԳԱՋԵԾԱ ՏԵԼՈՄԵՆԻՇԽՈԼԱՑ պէր մոցունցեծ.

ԱՊՈՎԵՍՏՈՒ — րաս ամծոնք, յալուանիւ ՏԵԼՈՄԵՆԱՆՑԵ մոմժէրա
տացու գա օմիսկըն ՌՈՋՈՐԾ գացուեցազ. հիմու ցագանցաւութունունց սածոլունու
գա պէր պէրացուն ՏԵԼՈՄԵՆԱՆՑԵ մըսուացունցեծ. ալպուստու օլս յապու ար արուս, ՏԵԼՈՄԵՆԱՆՑԵ
հռմ յարս ակնճուցա. յըրտել յուգաց անախազ օմ սնամուսու ցոմինուս, Պորժո
միցածունու րաց սատցիւնու մայցու գա մըրու, տու միմունց, Շենո յարս մալուան յո
շնուռուցա օմ յալուանիւնու հիմու ցամանինցեծա, մացրամ պէր մոցարտուու!

ՏԵՂԵՆ III — ՏԵԼՈՄԵՆԱՆԱ, ԱՊՈՎԵՍՏՈՒ.

ԱՊՈՎԵՍՏՈՒ — լմերտու, մոմցու մալա գա ծոլոմից մատյեցունց, րուս
տյմասաց զանուրցեծ!

ՏԵԼՈՄԵՆԱՆԱ — րա ոյսու, րա դացումարտա? րաս մոծլազուրու?

ԱՊՈՎԵՍՏՈՒ — յուգացաց հռմ մըցուտեցեծա գյեցամինուս ՑՈՒՐՑԻԵ ՇԵՆՆԱՈՐԾ
մակուցարա գա սանոնուսու սեցա արացուն մըցալուցեծա!

ՏԵԼՈՄԵՆԱՆԱ — ոչու, այ մըսմիս ՏԵԼՈՄԵՆԱՆԱՆՈՒՄ ՏԵԼՈՄԵՆԱՆԱՆՈՒՄ
շնուռուցա!

ԱՊՈՎԵՍՏՈՒ — րաս ուրունու? ՏԵԼՈՄԵՆԱՆԱ ցացու գայցու ՏԵԼՈՄԵՆԱՆԱ
լունունու ալար ցամշուալուս! յըրտու ՏԵԼՈՄԵՆԱՆԱ մուսուրունուս! ցանուտնուն
մանունց! պէր եցացեցո, արա, րամիս ՏԵԼՈՄԵՆԱՆԱ? ՏԵԼՈՄԵՆԱՆԱ յանցուան
ալար ցոնդա տացուս մոցակալունցեծա, ցացուց պահու ունու պողունական. մոլալու-
նու! մըց յարս ՏԵԼՈՄԵՆԱՆԱՆՈՒՄ ՏԵԼՈՄԵՆԱՆԱ մուսուրունուս! մացրամ արց աթլաց ցունան մալուանաց
մըսմիս, հռմ ցալաւ պէր սանոնց անունուսու մուսուրունուս! մացրամ բարցագագ
մըսմիս, հռմ ցալաւ պէր սանոնց անունուսու մուսուրունուս! մացրամ բարցագագ

ბოდა?! შენს დანაშაულს სასჯელიც კი არ მოეძებნება, თორემ ვერავინ
დამასწრებდა შენს დასჯას. ისე მაქვს გონება არეული, რომ აღარ ვიტოვდე
რა გავაკეთო!

სელიმენა — მაინც არ იტყვი რომ გადაგრია ასე? შენ აქ დამდგარ-
ხარ, მღანდლავ, გამაგებინე მაინც რას მაბრალებ, იქნებ შევძლო თავის
მართლება!

ალცესტი — შენ რას გერჩი მართალი ხარ, გასალანდი მე ვარ, რომ
თვალები დავიპირმავე და ჩემდა საუბედუროდ, შენი პრანჭვა-გრეხვა ჩემი
სიყვარულის პასუხად მივიღე. არა, როგორ შევცდი, როგორ მოგატყუ-
ებინე თავი!

სელიმენა — მაინც ვერ გავიგე რა ტყუილებზე მელაპარაკები და თუ
გინდა, მომკალი!

ალცესტი — ვერ გაიგო! რა ეშველება! ახლავ გაფაგებინები! აბა, და-
ხედე ამ ნერილს! ხომ არ გეცნობა? ახლა არ მითხრა ჩემი ნაწერი არ
არისო! ამაზე რაღაც იტყვი? გამეცი პასუხი რომ გეკითხები!

სელიმენა — აპა, მეც არა ვთქვი, რაზეა გაგიუბულო-მეთქი პო.
ვხედავ, რომ ნერილია, მერე მაგითი რის თქმა გინდა?

ალცესტი — როგორ, არც ნითლებდი ამის დანახვაზე?

სელიმენა — მაინც რატომ უნდა გავნითლდე, ხომ ვერ მეტყვი?

ალცესტი — ერთი ამას უყურეთ! თვალსაც არ ახამხამებს! ვერა-
ურს ვიტყვი, უსინდისობაც ასეთი უნდა! მაშ, ეს ნერილი შენი დაწერი-
ლი არ არის, არა?

სელიმენა — პო, ჩემი დაწერილია. დავაშავე რამე?

ალცესტი — მაშ, ამ ნერილში შენთვის სამარცვებინო არაფერია?

სელიმენა — რომ არ მოგატყუო, იშვიათი ეგზემპლარი ხარ. განა
რა ნახე მაგაში ისეთი, რომ მომივარდი და ქვეყანა თავზე დამამხები!

ალცესტი — რას ამბობ, რას? ქვეყანა მე კი არა, შენ დამამხე თავზე!
მეტი რაღა უნდა მენახა! ორონტს სიყვარულს ეფიცება და თურმე არც
უნდა შერცხეს და არც მე უნდა გავძრაზდე, ამაზე მეტი თავხედობა გა-
გიგონიათ?!

სელიმენა — ორონტს სიყვარულს ვეფიცები? მერე და ვინ გითხრა,
რომ მაგ ნერილის ადრესატი მაინც და მაინც ორონტია და არა სხვა
ვინე?

ალცესტი — ვინ მითხრა და ვინც ეგ ნერილი გადმომცა. კაი, ბა-
ტონო, ორონტს კი არა სხვას ეკუთვნის ეგ შენი ბარათი, მერე, მაგითი რა,
დანაშაული შეგიმსუბუქდება თუ მე ნაელებად მეტკინება გული?

სელიმენა — იქნებ, სულაც ქალს მივწერე, მაშინ რაღას იტყვი? რა-
ღაში დამდებ ბრალს?

ალცესტი — რაო, ქალს მივწერო! აი, მესმის გაშოსავალი ეგ სა-
იდანდა მოგივიდა თავში! ამას შენს მეტი ვერავინ მოიუიქრებდა! მეც,
როგორ არა, სიტყვაზე დაგიკერე! მეყო, რასაც აქამდე მატყუებდი! შენ
მე შტერი ხომ არ გაონივარ! აი, ახლა მე წავიკითხავ ამ ნერილს და მე-
რე ხომ დამეთანხმები, რომ ის კაცს ეკუთვნის და არა ქალს!

სელიმენა — არ მტირდება მაგისი წაკითხვა. შენ მე ისეთი სიტყვები
მაყაღრე, რომ შენი მოსმენა კი არა, დანახვაც აღარ მინდა.

ალცესტი — არა, არა, მომისმინე ერთი წუთით. ამდენი ხანი ხომ მე
გითმენდი, ახლა ცოტა ხანი შენ მომითმინე. გულაბდილად მითხარი, ეს
სიტყვები შეიძლება ქალმა ქალს მისწეროს?

სელიმინა — გამანებე თავი, მეტი საქმე არა მაქვს თავის მართლება და დავიწყო! სულ არ მაინტერესებს რას ფიქრობ ჩემზე. ახლა მაგაზე მადარდე!

შესრულებული შესაბამისობა

შესაბამისობა

ალცესტი — არა, გამაგებინე ერთი, როგორ შეიძლება რომ ეს ნერილი ქალს კუთხოდეს და ხმას აღარ ამოვიდებ!

სელიმინა — დიახაც, ორონტს მიღწერებ! დაწყნარდი ახლა? ძალიანაც მომწონს თარონტი, ჭკვიანი, განათლებული კაცია. რომ მოვნონვარ, ისიც ვიცი და არც მე მაქვს არაფერი სანინააღმდეგო. მიდი ახლა, რაც გინდა ილაპარაკე, ოღონდ მე თავი გამანებე! არ შემტამა ამ კაცმა?

ალცესტი — ღმერთ ჩემი! ასეთი რამე გაგონილა? თავბრუ დამახვია, სიყვარულს მეციცებოდა და ახლა ვითომიც არაჯერი რაც გინდა, ის გიქინია! რა ადვილად მომიშორა თავიდან! თანაც დამნაშავედაც რომ გამომიყენა! იმის მაგივრად, რომ შერცხვეს და პატივება მთხოვოს, აქეთ მედიდგულება! მაგრამ რა ვქნა, რომ ისევ მიყვარხარ და არ შემიძლია ისე მოგეცე, როგორც იმსახურებ! აქეთ ისე მოვიჩქაროდი, ასე მეგონა, რომ დავინახავ, შუაზე გავგლიჯავ-მეტე, მაგრამ ახლა მზად ვარ დავივიწყო ეს წყეული ბარათი ღლონდ შემპირდი, რომ დღეიდან მაინც იქნები ჩემი ერთგული!

სელიმინა — არც არაფერს შეგპირდები და ვერც ვერაფერს დავივიწყებ. შენიარ ეჭვიან კაცთან მე ლაპარაკი არ შემიძლია. რას შემართლები, ვერ გამიგია. იქნებ გუნება შემეცვალა და ახლა სხვა მომწონს! ვის შეუძლია ეს ამიკრძალოს? აქამდე ჩემი თავის ბატონი მე ვიყავი და ამის შემდეგაც ასე იქნება, თუ ვყოფილვარ სელიმენა! სიყვარულის დაძლება აღარ გამიგონია! შენ რომ მე მართლა გყვარებოდი, გამიგებდი და ჩემი ბედნიერებით გაიხარებდი! რა პირობების წაყენება დამიწყე: ეს არის შენი სიყვარული? აი, მე პირდაპირ გუნდები: ორონტი მიყვარს! აბა, რა მექნა, შენთვის მომეტყუებინა და ჩუმ-ჩუმად ორონტს შევხედროდი? ეს როგორ მაკადრე? ჩემს გულს რა ვუთხარი, თორემ კინისევრით უნდა გაგდებდე აქედან! მაგრამ, რა ვქნა, ძველი სიყვარულის დავიწყება ეგრეადვილია?! სხვა ქალი ჩემს ადგილას შეურაცხყოფისათვის სასამართლოში გიჩივლებდა და კარგ ღროსაც გაგატარებინებდა!

ალცესტი — უყურეთ ერთი ამ წყეულს! არა, ჩემი თავისა მიკვირს, როგორ არ გაგლეჯავ მაგ გესლიან ენას! თან ამდენ ტყუილს როგორლა იგონებ? მაგრამ არ მოგასვენდ, სანამ ბოლომდე არ გავიგებ ყველა შენს ხრისა და გველურ ჩანაფიქრს!

სელიმინა — არა, არა, შენ მართლა არ შეგძლებია სიყვარული!

ალცესტი — მართალი ხარ, შენ რომ მიჩვეული ხარ, მე ისეთი სიყვარული არ შემიძლია! მე მინდოდა, რომ ჩემს მეტს არავის ყვარებოდი, არც არაეს მოსწონებოდი! მინდოდა ერთი საცოდავი, ღარიბი, ყველასაგან დაწუნებული გოგო ყოფილიყავი და ყველანაირი ბედნიერება აი, ამ ხელებით მომეტანა შენთვისა მე საერთო და სხვასთან გასაყოფი სელიმენა არ მჭირდებოდა! მე მხოლოდ ჩემი, ჩემი საკუთარი სელიმენა მინდოდა მყოლოდა!

სელიმინა — უცნაური სიყვარული გცოდნია, ვერაფერს ვიტყვი! კიდევ კარგი, ღმერთმა დამიტარა და ისე არ მოხდა ყველაფერი, როგორც შენ გინდოდა.. თჲო, დუბუაც გამოგვეცხადა! თანაც ეს რა უცნაურად გამოპრანჭულა!

ალცესტი — ეს რა ჩაგიცვია რას პეგავხარ? რა დაგემორთა, რა შე-
შინებული მიყურებ?

დუბუა — ისა...

ალცესტი — რა ისა, რა ესა, იტყვი თუ არა რა გინდა?

დუბუა — რალაცაშია საქმე.

ალცესტი — რა საქმე? გამაგებინე, რას ამბობ!

დუბუა — მე მგონი, კაი ამბავი არ არის ჩვენს თავს!

ალცესტი — კაცო, ალარ იტყვი, რა გინდა?

დუბუა — ვთქვა თუ არა...

ალცესტი — თქვი ახლა, ნუ გამაგიქე!

დუბუა — აქ ვომე ხომ არ არის ისეთი...

ალცესტი — გადამრევს ეს კაცი! ახლა მოთმინებიდან არ გამომიყ-
ვანო, თორემ...

დუბუა — აქაურობას უნდა გავშორდეთ.

ალცესტი — რაო, რა თქვი? ვერ გავიგე...

დუბუა — აქედან უნდა წავიდეთ.

ალცესტი — წავიდეთ? კი, მაგრამ, რატომ?

დუბუა — გეუბნები, აქ ალარ გვედგომება-შეთქი.

ალცესტი — რატომ, რა დავაშავეთ? მიზეზს ალარ იტყვი?

დუბუა — ახლა ლაპარაკის დრო ალარ არის. ყოველი წუთი ძვირფა-
სია, ნულარ ვიგვიანებთ.

ალცესტი — ვერაფერი ვერ გავიგე! სად უნდა წავიდე, რატომ უნდა
წავიდე...

დუბუა — სად უნდა წავიდეთ, ეგ ბერე გაირკვევა, ახლა კი დროა,
გუდა-ნაპადი ავიკრათ.

ალცესტი — წესიერად გამაგებინე რას მიეღებ-მოედები, თორემ თუ
ნამოგიხტი, ცხვირ-პირს დაგილენავ!

დუბუა — მე რას მიყვირიხარ, რა ჩემი ბრალია! ერთი კაცი მოვიდა,
თანაც სულ შავებში იყო გამოწყობილი. რალაც ქალალდი დაგიტოვა. ისე
იყო დაჯღაბნილი, ეშმაკიც კი ვერ გაარჩევდა შიგ რა ეწერა. მაგრამ, დარ-
წეუნებული ვარ, იმ დღევანდელ შენს სასამართლოსთან არის დაკავში-
რებული.

ალცესტი — მერე, შენი მოელე ჭეუით, იმ ქალალდის ნაგლეჯსა და
ჩვენს გამგზავრებას შორის რა კავშირია?

დუბუა — მაცლი ბოლომდე ლაპარაკს? იმ კაცის ნასვლიდან ერთი
საათიც არ იყო გასული, რომ ახლა სხვა კაცი მოვიდა. შენთან ხშირად
მინახავს, მე მგონი შენი მეგობარი უნდა იყოს, ღმერთო, გამახსენე რა
ჰქეიია... არა, ვერ ვიხსენებ... ასე ვიცი ხოლმე, ერთი თუ გადამეცეტა გო-
ნება, მორჩია მერე... პოდა, დაგიბარა, რომ... მოიცა, იქნებ გავიხსენო სა-
ხელი...

ალცესტი — ჰო, კაი, გაანებე იმის სახელს თავი! რაც ერქვა, ერქვა!
ჯანდაბას იმისი თავიც და შენიც! რაო, რა მინდაო?

დუბუა — რაო და, ალცესტი აქ დიდი საფრთხე ემუქრებაო. ჰო, ასე
თქვა, შეიძლება დაიჭირონ კიდეეცო.

ალცესტი — იქნებ ისიც გითხრა, რატომ უნდა დამიჭირონ?

დუბუა — არა, მაგრამ იმანაც წერილი დაგიტოვა. აი, აქა მაჟენა! ნა-
იკითხე და შენ თვითონ მიხვდები.

ალცესტი — მერე დროზე ვერ მომეცი? ამდენს რას მალაპარაკვება?
სელიგენა — ნეტავ რაშია საქმე?

ალცესტი — აბა, რა გითხრა! იმედია, ეს ყეყეჩი მალირსებს წერი-
ლის მოცემას და ბოლოს და ბოლოს გავიგებ რა ამბავია ჩემს თავს!

დუბუა (დიდი ხნის ძებნის შემდეგ) — მე მგონი, სახლში დამრჩა...
ალცესტი — ახლა კი ხელში შემომაკვდები...

სელიგენა — კარგი, კარგი, მაგის მოკვლას მერეც მოასწრებ. გირ-
ჩენია ნახვიდე და შენი საქმე შენ თვითონ გაარკვიო...

ალცესტი — მაშ, კარგი, წავალ. მაგრამ საღამოს კიდევ შემოგივლი.
მე მგონი, საუბარი ჯერ არ დაგვიმთავრებია.

ვეზეთი მოძველება

სცენა I — ალცესტი, ფილინტი

ალცესტი — მორჩა, ყველაფერი დამთავრებულია. აზრს ველარავინ
შემაცვლევინებს.

ფილინტი — ჰო, კარგი, გეყოფა; ცუდი ამბავი შეგემთხვა, მაგრამ
ყველაფერზე ხელი კი არ უნდა ჩაიქნიო.

ალცესტი — არა, ფილინტ, რამდენიც გინდა მელაპარაკო, რაც ერ-
თხელ ვთქვი, აღარ გადავთქვამ. ხომ გახსოვს, რომ გეუბნებოდი, ადამი-
ანებს სიმართლე აღარ სჭირდებათ-მეთქი, ხომ მართალი მითქვამს, რას
იტყვი? არავითარი სურვილი აღარა მაქვს ამ ტყუილებისა და სიბინძურის
მორევში ვიცხოვრო. აბა, რაღა დამრჩენია აქ? ხომ შენი თვალით ნახე, რა
დღეში იყო ორონტი სასამართლოზე? როგორ მოისაწყლა თავი, როგორ
დააჯერა თავისი მოთაცულული ენით ის ბრივი მოსამართლები, რომ
ბოროტმა მხეცმა ალცესტმა მისი პოეტური გენის ჩანიხლვა მოინდომა!
ეს სულელი ხალხიც თვალებში შესციცინებდა, თითქოს ებოდიშებოდა,
გვაპატიე, ამხელა პოეტი აქამდე რომ ვერ დაგაფასეთო. აი, ხომ ხედავ,
რა შეუძლია გაქნილ კაცს? მე კი, ვიდეე შერცხვენილი, დამცინავი მზე-
რით განადგურებული შურიანი კაცთმოძულე! და შერე რისთვის? მხო-
ლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ მეგობრულად უურჩიე ცუდი ლექსების
წერა შენისთანა კაცის საკადრისი არ არის-მეთქი! მერე და რა გამოვიდა
ამითი?! ამოუჩრია ახლა ორონტის ეს თავისი ნიგნი, დაარბენინებს ქალაქ-
ში და სულელი ბრძოც ალფროთოვანებული კითხულობს მაგის „შედევ-
რებს“! პირსუკან კი დასცინიან ჩუმ-ჩუმად, მაგრამ უგ უკვე მაგას აღარ
ადარდებს. თავის ჭიას ხომ ახარებს და მეც ხომ დამარაშავედ გამომიყენა!
შეტი რაღა უნდა! გამოჩენილი კაცი გახდა. როგორც ვატყობ, ამ ცხოვრე-
ბაში მგლური კანონები მოქმედებენ, მე კი აღარ მინდა მგლებს შორის
ცხოვრება!

ფილინტი — არა, ალცესტ, არც ისე ცუდადა საქმე, როგორც შენ
გვონია. ადრე თუ გვიან ყველა გაიგებს ვინ არის ორონტი, არც მაგის პო-
ეზიას უწერია დიდი დღე. მართლა და მართლა, ხომ არ ბნელა?

ალცესტი — შენ რა მიამიტი კაცი ყოფილხარ! იმ სასამართლოთი
ისე ალზევდა ეს ჩვენი ორონტი, რომ დღეიდან მაგის ნინსვლას ველარა-

ფერი შეუშლის ხელს. ცოტაც მოითმინე და შენი თვალით ნახავ ყველა-
ფერს.

ზილინტი — კი, მაგრამ, შენც ხომ შეგიძლია ორონტივით მიმართო
სასამართლოს და ყველამ გაიგოს ტყუილ-მართალი? ეს ქვეყანა ჩალით კი
არ არის დახურული?! შენ თუ უარ-ხმალი დაყარე და ყველას ნება-სურ-
ზილს დაემორჩილე, ეგ რაღა გამოვა!?

ალექსანტი — არავითარ შემთხვევაში. იყოს ყველაფერი ისე, როგორც
არის. როგორი უსამართლოც არ უნდა იყოს განაჩენი, თითსაც არ გავან-
ძრევ მის შესაცვლელად. დაე, ყველამ დაინახოს როგორ სჯიან ადამიანები
სიმართლესა და პატიოსნებას. რას იამაყებენ მომავალი თაობები თავიან-
თი წინაპრებით! კიდევ გიკვირს ჩემი სიძულვილი ადამიანების მიმართ?

ზილინტი — ყველა ხომ ერთნაირი არ არის...

ალექსანტი — ადამიანებს შენი დაცუა არ სჭირდებათ, თვითონაც კარ-
გად მოუვლიან საქუთარ თავს. მე არავის არაფერს არ ვაძალებ, მე კი უკ-
ვე აქ აღარ დამედგომება.

ზილინტი — არა, მოიცა ერთი წუთით, მომისმინე: ყველაფერში მარ-
თალი ხარ, ყველაფერში გეთანხმები. შენ მე მასნავლი ამქვეყნად რა გა-
ნუეკითხაობა და გაუტანლობა? მაგრამ, ყველას მაგივრად შენ რატომ
დარღობ? შენი განდგომით რა გამოსწორდება? რა გვინია, სადაც წახ-
ვალ, იქ უკეთესი ადამიანები დაგხვდებიან? ძალიანაც ცდები მეტსაც გე-
ტყვია: ამქვეყნად ბოროტება და უსამართლობა რომ არ იყოს, მაშ, სიკე-
თე და სიმართლე როგორლა დავაფასოთ? ცხოვრება კონტრასტებით არის
ლამაზი, თორემ ისე რა იქნებოდა ერთფეროვნებაზე საშინელება არა-
ფერია.

ალექსანტი — აღარ გვინდა, ფილინტი, ეს უაზრო კამათი. შენ, როგორც
გატყობ, ლაპარაკში ვერავინ გაჯობებს. მე შენსავით ლამაზი ლაპარაკი
არ შემიძლია, მაგრამ, როგორც იტყვიან, განაჩენი საბოლოოა და გასა-
ჩივრებას არ ექვემდებარება. ახლა სელიმენას ნახვა მინდა. გიკვირს, არა?
რა იცი, იმისგან ყველაფერს უნდა ელოდოს კაცი. იქნებ მაბრაზებს, მარტ-
ვიანებს. ხომ იცი, სიყვარული უმაგისოდ არ იქნება. ამ ერთხელაც ვცდი
ბედს და მერე ხმას აღარ ამოვიდებ.

ზილინტი — სანამ სელიმენა მოვა, ელიანტასთან ავიდეთ. იქ დავი-
ლოდოთ.

ალექსანტი — არა, არა, შენ ადი, მე ძალიან დაღლილი ვარ. დამტოვე
ამ ბნელ კუთხეში ჩემს მწარე ფიქრებში გართული.

ზილინტი — ძან ადგილი კი ამოგირჩევია სელიმენას დასალოდებ-
ლად. წავალ, ელიანტას ჩამოვაგზავნი, იქნებ იმისი სიტყვა მაინც გაი-
გონო.

სცენა II — ორონტი, სელიმენა, ალექსანტი

ორონტი — სელიმენა, მე უკვე მეტი აღარ შემიძლია. მითხარი, ბო-
ლოს და ბოლოს, გიყვარვარ თუ არა. ამქვეყნად ყველაფერს, და მათ შო-
რის ჩემს მოთმინებასაც, საზღვარი აქვს. ცალკე ალექსანტი მეცილება შენს
თავს. ასე როდემდე უნდა გაგრძელდეს? შენ ისე იქცევი, რომ უკვე ორი-
ვენი დაგვაბნიე. თუ ალექსანტი არ გინდა, უთხარი და მოიშორე თავიდან.
რა გვინია, ძალიან მსიამოვნებს დღე და ღამე კუდში რომ დაგდევს?



სელიმენა — გამაგებინე ერთი, რა დაგიშავა იმ ალცესტმა? რა ვიცე, ადრე სულ იმის ქება-დიდებაში იყავი...

ორონტი — დამიშავა თუ გამითეთრა, ეგ მე ვიცი. მე რასაც გადასცის, თხები, იმაზე გამეცი პასუხი. აირჩიე ან ის ან მე. მერე უკვე ჩემი საქმეა, რასაც გავაკეთებ.

ალცესტი (გამოდის ქუთხიდან) — პო, სელიმენა, ეს კაცი მართალია. რაღა დაგიმალო და ეგ საკითხი მეც ძალიან მაღლელებს. ამ საქმეს გა-ჯანჯლება აღარ უნდა, ისედაც დიდი ხნით გაინელა. ბოლოს და ბოლოს, დაგვაყენე საშეველი, შენც მოისვენე და ჩენც მოგვასვენე.

ორონტი — ალცესტ, თუ სელიმენა ჩემს თავს შენ გამჯობინებს, მე დღეიდან მასზე ხმის ამომლები აღარა ვარ.

ალცესტი — სხვასთან საზიარო სიყვარული არც მე მჭირდება.

ორონტი — ოდნავ მაინც რომ ვიგრძნო, რომ სასწორი შენსკენ იხ-რება...

ალცესტი — მეც რომ შევამჩნიო, რომ გული შენსკენ ეწევა...

ორონტი — გეფიცები, რომ მისკენ ალარასოდეს გავიხედავ.

ალცესტი — მეც გაფიცები, რომ საბოლოოდ შევეშვები.

ორონტი — აბა, სელიმენა, ახლა სიტყვა შეზიერა!

ალცესტი — მოსარიდებელი არაფერია, შეგიძლია თამაშად ილაპა-რაკო.

ორონტი — თქვი, ნუ დაგვლალე ლოდინთ!

ალცესტი — რა დაგემართა, ადრე ასეთი მორცხვი არ იყავი. დავი-ჯერო, ასე ძნელია შენთვის ორიოდე სიტყვის თქმა! ნუ გეშინია, თავის მოკლას არც ერთი არ ვაპირებთ!

ორონტი — ღმერთო ჩემი! რა გახდა ერთი კაცის ამორჩევა!

ალცესტი — იქნებ ორივე ერთნაირად გიყვარვართ და აღარ იცი, რომელი აგვირჩიო. ზოგ ქალს ერთიც არა ჰყავს და შენ ხომ ხედავ, რო-გორა გაქვს საქმე! აბა, რას იტყვი: მე თუ ორონტი? ორონტი თუ მე?

სელიმენა — ამათ ვის გადავეყარე! რას გადამეციდეთ, ერთი გამაგე-ბინა! ესეთი არაფერი მინახია! გამომიტირეს აქ დამნაშავე ბავშვივით და ამოსუნთქვას აღარ მაცლიან! თქვენ რა გონიათ რა, შემრცხვება და ვერ ვიტყვი, ვინ არის ჩემი რჩეული, თუ თქვენი მეშინია! ნუთუ ვერ ხვდებით, რატომ ვიკავებ თავს? უბრალოდ, მერიდება საქვეყნოდ ჩემს გრძნობებზე ლაპარაკი.

ორონტი — მე ამაში სამარცხვინოს ვერაფერს ვხედავ. უბრალოდ, მინდა, რომ გულნრცელად აღიარო ვინ გიყვარს. აღარ უნდა მოელოს ბო-ლო ჩენს ტანჯვა-წამებას!?

ალცესტი — კიდევ დიდხანს აპირებ დუმილს? თუმცა, რა მიკვირს, რა, ეგ ხომ შენი ხელობაა! გააგიუბ ამ კაცებს და მერე შენს ნებაზე ათა-მაშებ ყველას. როგორც იტყვიან, „ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდე-ბი“. ჩვენი საქმეც ეგრეა. ორონტისა არ ვიცი და მე კი არავითარი სურ-ვილი აღარა მაქვს ესეთ გაურკვეველ მდგომარეობაში ვიყო. მე შენგან სიმართლის თქმას მოველი და იტყვი კიდევ!

ორონტი — მართალს გეუბნება. აღარ უნდა დაგვაყენო საშეველი?

სელიმენა — თქვენ რა ჭირვეულები ყოფილხართ! კარგით, ბატო-ნებო, იყოს ნება თქვენი. ოლონდ ელიანტის ვთხოვოთ ჩენში მტყუან-მართლის გარჩევა. რახან ჩემი არ გესმით, იმედია, იმას მაინც დაუჯე-რებთ. აი, ისიც!



სალიმენა — აი, ხომ ხედავ, ჩემო კარგო, რა დღეში ვარ? ჩამიგდეს ხელში ამ ორმა და მაიძულებელ ერთ-ერთი მათგანი ამოვირჩიო, ხოლო მეორე სათოუზეც აღარ გავიკარო. აბა, გაგონილა ესეთი პრეტენზიები?

ელიანტა — ამ საქმეში მსაჯულად არ გამოგადგებით. შენი ამბავი რომ ვიცი, ისე დახლართავ ყველაფერს, ეშმაეც კი ვერაფერს გაიგებს.

ორონტი — ტუშილად გვიშორებ თავიდან, სელიმენა, არაფერი გამოგვა. სანამ ჩვენს კითხვაზე პასუხს არ გაგვცემ, არ მოგშორდებით.

ალფესტი — გევო კუკუმალულობანას თამაში. ამჯერად თავს ველარ დაიძვრენ. გაები, ჩიტო, მახეში?

ორონტი — პო, მიდი, გაბედე, სელიმენა! ან იქით, ან აქეთ!

ალფესტი — ამოილე ხმა, ენა ხომ არ გადაყლაპე?

ორონტი — ნუ დაგვამაღლი ერთ სიტყვას და მოვრჩეთ ეს ამბავი!

ალფესტი — თუ მღელვარებისაგან ხმას ვეღარ იღებ, გვანიშვნე მაინც, მაგაზეც თანახმა ვართ!

სცენა IV — აპასტი, კლიტანდრი, არსიბოი, ფილიონი, ელიანტა, ორონტი, სალიმენა, ალფესტი.

აპასტი — სელიმენა, ერთი პატარა საკითხის გარევევა გვინდა და შენ მოგაყითხეთ, იქნებ დაგვეხმარო.

კლიტანდრი — ოპო, ალფესტი და ორონტიც აქ ყოფილან! თქვენც ამ საქმეში ხართ გარეული და კარგია, რომ ყველამ ერთად მოვიყარეთ თავი!

არსიბოი — სელიმენა, სულ არ ვაპირებდი დღეს შენთან მოსვლას, მაგრამ ამათ ნამომიყვანეს. თანაც, ისეთი რალაცები მითხრეს შენიერ, რომ კინაღამ გული გამისცდა. არა, მე ერთი სიტყვაც არ დამიჯერებია მაგათი ნალაპარაკევიდან, მაგრამ რას გაიგები. ან მაგათ როგორ დავაპრალო მატყუარობა და ან შენ! ამიტომაც გადაეწყვიტე ნამოვსულიყავი და ყველაფერი საკუთარი თვალით მერახა. ხომ იცი „ათასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიათ“. აი, აქ მიუკვდები ჩემთვის, ხელს არ შეგიშლით; მე ყურადღებას ნუ მომაქცევოთ, თქვენ თქვენს საქმეს მიხედეთ. ხომ იცი, შენს დაჩაგვრას არავის ვაპატიქებ!

აპასტი — აბა, სელიმენა, ყველანი აქა ვართ და გულახდილად ვიღაპარაჟოთ. აი, ამ ნერილს რომ ხედავ? როგორც ვატყობ, კლიტანდრის-თვის მიგინერია.

კლიტანდრი — ეს ბარათი კი, მე მგონი, აკასტის ეკუთვნის.

აპასტი (ორონტსა და ალფესტს) — როგორც ხედავთ, ნანერი აშისია, მაგრამ ვაი, რომ აზრებიც ამასვე ეკუთვნის. ჩვენთვის არც თუ ძალიან სასიხარულოა ამ ნერილის შინაარსი, მაგრამ მაინც ხომ უნდა ნავიკითხოთ! ბოლოს და ბოლოს, ქალს თავი შეუწესებია და დაუწერია. შრომას წყალში ხომ არ ჩავუყრით! მაშ, ვიწყებ: „რა უცნაური კაცი ხარ, ეგ რამ გაფიქრებინა, რომ შენთან ყოფნა არ მსიამოვნებს? განა რა შემატყვე სამაგისო? თუ არ მოხვალ და ბოლიშს არ მომიხდი, არასოდეს ხმას აღარ გაგცემ“. აი, ახლა იწყება, რაც იწყება:

„...არა გრცხვენია, იმ აყლაბუდაზე რომ ეჭვიანობ? აბა, ეგ რა ჩემი შესაფერისია! სულ რაღაც ნახევარი საათით შევხვდი და მაშინაც ძლიერ გაუძრელი ზაგის სისულელებს!“

ძალიანაც მრცხვენია, მაგრამ შემდეგ სტრიქონებში ჩემი თავი ამოვიცანი:

„...ხოლო რაც შეეხება იმ უნიფერ კრუხის პალოს, მთელი საღამო ხელზე რომ მეპოტინებოდა, არასდროს კაცად არ ჩამითვლია და შენ რაღა განერვილებს არ ვიცი!...“

როგორი იუმორის გრძნობაა, რას იტყვით?! აბა, ალცესტი, გამაგრდი, ახლა შენი ჯერია:

„...ჰო, კიდევ იმ დაბლვერილ კაცზე რომ გიეჭვიანია, მაგაზე კი ბევრი ვიცინე. ნუთუ ვერ ხვდები, როგორ მართობს მაგისი გამოხტომები და თავისი ჭუკით, ფილოსოფიური ლაპბობა? მაგისი ფილოსოფია და რჩევა-დარიგებები მინდა მე, როგორ ფიქრობ?..“

ორონტი, ტყუილად გიხარია, არც შენთვის დაუწყვეტია გული სელი-შენას:

„...იმ გამოწყებილ ვაუბატონს კიდევ გადაუწყვეტია რადაც არ უნდა დაუჯდეს პოეტი იყოს და მაიძულებს მაგის უნიჭო ლექსებს ვუსმინო. ლექსებს კიდევ ავიტანდი, მაგრამ შენ უნდა ნახო, რა დღეში ვარ პროზაზე რომ გადადის. ვაი, მაშინა ვარ საცოდავი სანახავი, თუ ვარ აი, ხომ ხე-დავ, რა დღეში ვარ მაგათ ხელში! შენ რა გგონია, ადვილია ამ ხალხის ატანა? მაგრამ რა ვენა, სახლიდან ხომ არ გავყრი? თანაც, რაღაცით ხომ უნდა გავერთო!..“

ვინდა დაგვრჩა? ელიტანდრი! ნუ გეშინია, არც შენ დაგწყვეტ გულს:

„...ყველა ყველა, მაგრამ კლიტანდრზე ეჭვიანობა ან მე როგორ მა-კადრე და ან შენს თავს?! მაგას კი ჰერონია, რომ მიყვარს, მაგრამ ეგონის, ჩვენ რა გვენალვლება! კლიტანდრისნაირი თავდაჯერებული კაცების გამაიმუნება ჩემი საქმეა. მაგის მეტი რა ვიცი?! შენ კი, ძალიან გთხოვ, ხშირ-ხშირად მოდი ჩემთან. ასეთი ხალხის გადამეიდეს შენ მაინც მეცი ნუგეში!..“

კლიტანდრი — ვერაფერს ვიტყვი, სელიმენა, კარგი პორტრეტების ხატვა შეგძლებია! მაგრამ ახლა ის იყითხე, ჩვენ რაღას ვიტყვით შენზე აქედან რომ წავალთ!

პატასტი — ერთი-ორ სიტყვას მეც გეტყოდი, მაგრამ შენნაირი ქალი ნერვების მოშლად ნამდვილად არ ლირს. იმას კი გეტყვი, რომ ჩემნაირ უნიფერ კრუხის პალოებს შენზე ათასჯერ უკეთესი ქალები აფასებენ.

ორონტი — აი, თურმე ვინ ყოფილხარ! როგორ ერთხელ მაინც არ შემეპარა შენში ეჭვი! თუმცა, რას ვიფიქრებდი! ისეთ ნერილებს მწერდი, რომ ჩემს ადგილზე ყველა მოტყუდებოდა. ლექსებსაც რომ მინუნებს! რამე მაინც გაეგებოდეს! მაგრამ ახლა უკვე ამხეილა თვალი და არაფერზე აღარ მიწყდება გული (ალცესტს მიმართავს) აპა, შენთვის დამითმია! დღეიდან შენს მეტოქეობაზე ხელს ვიღებ.

არსინო — ჩემს ცხოვრებაში მსგავსი არაფერი გამიგონია. ეს რა ბნელი და ამოუცნობი ყოფილა ადამიანის გული! ეს რა გიქნია, სელიმენა? მე, სულელი კიდევ, ყველას გაფაციცებული ვუსმენდი, ცუდი არაფერი



თქვან ჩემს მეგობარზე-მეთქი. როგორ გააჩასხარავე და გადაჟეიდე ეს ამ დენი ხალხი ერთმანეთს! აბა, ალცესტისნაირ კაცს ქალი უარს ეტყოფა? რამდენი ქალი ვიცი, რომ შენს ადგილზე ყოფნას ნატრობდა...

ალცესტი — დამაცადე, ჩემს თავს მე თვითონ მივხედავ, შენი დაცვა არ მტკირდება. სელიმენას შეცვლას შენ თუ მიპირებ, ვწუხვარ, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოგივა.

არსინოე — მაგას ჩემზე ამბობ? ძალიანაც შემცდარხარ თუ გგონია, რომ შეზე ვგიუდები. მე, როგორც პატიოსან კაცს ისე გიყურებდი, შენ კიდევ ეს რა სისულელები მოგსვლია თავში! ნეტა რაში მტკირდები! აგრე, სელიმენა შენი შესაფერისი და მაგრად ჩასჭიდე ხელი, არსად დაგევარგოს! რაც აქამდე დღე დაგაყარა, ისიც ცოტა ყოფილა შენთვის. აბა, თქვენ იცით, ტკბილად შეაბერდით ერთმანეთს! (გადის).

ალცესტი — მაშ, ასე! აქამდე ხმა არ ამომილია, თუმცა რაც მე აქ ვნახე და გავიგონე, ხმა უნდა ამომელო კი არა, ღრიალით უნდა დამექცია აქაურობა! მაგრამ ვეცადე თავი შემევავებინა. ახლა კი, მომისმინეთ, მეც ხომ მაქვს ერთი-ორი სიტყვის თქმის უფლება!

სელიმენა — თქვი, თქვი, რაც გინდა, ოლონდ ჯერ მე მათქმევინე. დამაშავე ვარ, ყველასთან ვტყუივარ, რაც გინდათ ის მიწოდეთ, ყველაფრის ლირსი ვარ. ყველაზე შერცხვენილი შენთან ვარ, ალცესტ, სხვებმა კი რაც უნდათ თქვან, ეგ სულ არ მადარდებს. ვერაფერს ვიტყვი, სიძულვილის ლირსი ვარ. როგორ გიყვარდი, მე კი რით გადაგიხადე. ნება შენია, როგორც გინდა, ისე დამსაჯე.

ალცესტი — მერე და, რატომ არ მეკითხები, შემიძლია კი შენი დასჯა? ან ამ გულს შენი სიძულვილი შეუძლია? ნეტავ კი შემეძლოს! განა არ ვიცი, რისი ლირსიცა ხარ, მაგრამ რა ვქნა, რომ ისევ მიყვარხარ, მზად ვარ ყველაფერი დავივიწყო და ისევ გამოგიწოდო შენგან ბევრჯერ უარყოფილი ხელი. მოდი, ყველაფერი დავივიწყოთ და ყველა წყენა შენს ახალგაზრდობას დავაპრალოთ. წამოდი ჩემთან, გავშორდეთ ადამიანებს და იქნებ სხვაგან რომ ვიქნებით, იქ მაინც მოახერხო ამ დაჭრილი გულის გამთელება. რას იტყვი, წამოხვალ?

სელიმენა — როგორ, მე ასეთი ახალგაზრდა და სიცოცხლით აღსავსე ქალი საკუთარი ნებით გამოვეთხოვო ცხოვრებას და სადღაც უკაცრიელ კუნძულზე ჩავიმარხო თავი?

ალცესტი — კი, მაგრამ, თუ შენც გიყვარვარ, რა მნიშვნელობა აქვს შენთვის სად იცხოვრებ? მთავარია, რომ მე ვიქნები შენს გვერდით. სხვები რაღაში გჭირდებან?

სელიმენა — შენთვის ადვილია ლაპარაკი, მაგრამ, აბა, ახლა მე მკითხე! უნდა წავიდე ეს ნორჩი გოგო და სადღაც ჯურლმულში გამოვიკრით! გაფიქრებისაც კი მეშინია! არა, აქ თუ დავრჩებოდით, მაშინ კიდევ შეიძლებოდა ლაპარაკი, მაგრამ...

ალცესტი — გეყოფა, გეყოფა, არანაირ ლაპარაკს ჩვენს შორის აზრი აღარა აქვს. ყველაფერი გასაგებია. შენთან აღარაფერი მესაქმება. წარმა-

ტებას გისურვებ შენს ჩვეულ საქმიანობაში. იმედია, ახალ გასართობის
მაღლ იძოვი და გულს დარღვ არ შეატმევინებ.

(სელიმერა გადის, ალცესტი ელიანტას მიმართავს).

ალცესტი — ელიანტა, ყოველთვის ვიცოდი რა კეთილშობილი ადამი-
ანი იყავი; შენს მშვენიერებასაც ბევრჯერ მოუტაცია ჩემთვის თვალი;
მაგრამ, ვაი, რომ იმ წყეულისაგან ვიყავი მოჯადოებული და შენსენ არც
ვისხვებოდი. მაგრამ, ძალიან გთხოვ, მომეცი უფლება, რომ ჩემი შეცდომა
გამოვასწორო. ვიცი, რომ შენი ლირსი არა ვარ, მაგრამ იქნებ შესძლო და....

ელიანტა — ჩემი ლირსი რომ არა ხარ, გეთანხმები. ამიტომაც იმას
მიყყვები, ვინც ჩემი ლირსია. აგრე, ფილინტი, არც სხვების დასაცინი გამ-
ხდარა და არც ჩემთვის მოუბეზრებია თავი. აბა, ფილინტ, მეც ზოგიერ-
თი აქ მყოფის ბეჭდს ხომ არ გავიზიარებ?

ფილინტი — რას ამბობ, ელიანტა! მაგაზე ვერც კი ვიოცნებებდი!
ახლა კი ჩემზე ბედნიერი კაცი დედამინის ზურგზე არ მეგულება!

ალცესტი — მიხარია თქვენი ბედნიერება. ეცადეთ ბოლომდე ასე
გიყვარდეთ ერთმანეთი. მე კი, ვერავის ვერაფერს დავაბრალებ, ხომ გა-
გიგონია „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“. წავალ, გადავი-
კარგები სადმე. იქნებ ვიპოვო ისეთი ადგილი ამ ცისქვეშეთში, სადაც პა-
ტიოსან კაცს დაედგომება და სიმართლისთვის შეურაცხყოფას არავინ
მიაყენებს!

ფილინტი — წამო, ელიანტა, გავეკიდოთ, იქნებ როგორმე გადავათ-
ქმევინოთ ადამიანების მიტოვება!

—

ფრანგულიდან თარგმანი თიბერიშვილი